ნ. ᲨᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ

„ᲕᲔᲤᲮᲘᲡ ᲧᲐᲠᲝᲡᲐᲜᲘ“

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ 1930

„ვეფხის ტყაოსანი“

ავტორისაგან

«ვეფხის-ტყაოსანი» თავიდანვე გახდა ჩვენი არქეოლოგების და ისტორიკოსების კვლევა-ძიების მონოპოლიათ. მის გარშემო მხოლოდ ამათი ხმა გაისმოდა, ამათი აზრი ტრიალებდა, ყველა დანარჩენნი მწერალნი და მოღვაწენი დუმდენ, ამ საგნის შეხებას ვერ ბედავდენ. ერთათ-ერთმა აკაკიმ გაბედა ამ მიღებული ტრადიციის დარღვევა და კიდევაც მიიღო საზოგადოების წყრომა. რა პოეტის საქმეა რუსთაველიო! მას ბევრი მოხვდა განსაკუთრებით იმიტომ, რომ პოემაში დაინახა ქართველი ტიპები, რაიცა, რასაკვირველია, მაშინვე პოეტის მდიდარ ფანტაზიას მიაწერეს. დარღვეული ტრადიცია აღდგა და ძალაში შევიდა.

და აი ახლა, აკაკის კვალს გაყვა ამ წიგნის ავტორი. ეს არა-არქეოლოგი და არა ისტორიკოსი. ეს მიღებული ტრადიციის მეორეთ დარღვევა, იმედია, იქნება საბოლაო, გაუსწორებელი და მით «ვეფხის-ტყაოსნის» დახშული კარები ფართოთ გაეღება ამ პოემის ყველა მოყვარულთ, სხვადასხვა დარგის მწერლებს და მოღვაწეებს, მასზე ერთი გადაპრილი შესედულობის საერთო ძალღონით გამოსამუშავებლათ.

ამ ნაწერში გატარებული აზრები დიდი ხანია შემუშავებული მაქვს, მაგრამ საქართველოში, სამწუხაროთ, დრო არ დამირჩა საჯაროთ მის გამოსათქმელათ და იქ არსებული მდიდარი წყაროებით მის დასასაბუთებლად. აქ, უცხოეთში, ამ წყაროებს მოკლებული იძულებული ვარ ეს შეხედულობანი

წარმოვადგინო უფრო სქემატიურათ. მოკლეთ, შევჩერდე უმთავრესათ მთავარ ხაზზე, სადაო საკითხების დედა-ძარღვზე და გვერდი ავუხვიო დეტალებს.

ჩემი მთავარი წყარო იყო იქ და რჩება აქაც ერთი და იგივე შრომა—ეს არის თვით «ვეფხის-ტყაოსანი». მისი გულდასმით შესწავლა, მისი აზრების გაგება, მის ენაში და გამოთქმაში ჩაკვირვება, მის სულსა და გულში ჩაწვდენა იძლევა სწორ და ნამდვილ მასალას მასზე ნათელი წარმოდგენის შესადგენათ. პოემის ყველა გამოცემათა შორის მე მიმაჩნია საუკეთესოთ ი. აბულაძის გამოცემა, დიდის სიყვარულით და საქმის ცოდნით შესრულებული და მდიდარი ლექსიკონით შევსებული. მე ამ გამოცემით ვხელმძღვანელობ, თუმცა დართულ კომენტარიებს სრულიად არ ვიზიარებ.

მეორე წყარო, რომელსაც მე განსაკუთრებით ვაქცევ ყურადღებას არის «ქართლის ცხოვრება», თამარ მეფის ხანის აწერილობა რუსთველის თანამედროვე მემატიანესაგან. ამ ორ ავტორთა შორის მე ვხედავ სულიერ ნათესაობას, საერთო დაფასებას და გაგებას, ერთი მიზნის, ერთი საგნისაკენ სხვადასხვა გზით მიმავალათ. ეს ორი ძეგლი ერთი და იგივე ეპოქისა ეკუთვნის ერთ და იმავე თაობას, ეხება ერთ და იმავე ამბავს. შეიცავს ერთ და იმავე საზოგადოებრივ სარკეს.

შემდეგი ჩემი წყაროა თანამედროვე ლიტერატურა, დაწერილი ზემოთ აღნიშნულ ორ ძირითად წყაროების შესახებ—კომენტარიები რუსთაველის, გამოკვლევანი თამარის დროის. პირველი მოდის ორ შტოთ: ერთია ვახტანგ მეფის, ჩუბინაშვილის, მოსე ჯანაშვილის; მეორეა ნ. მარის და მისი მიმდევრების, რომელიც დღეს გაბატონებულათ უნდა ჩაითვალოს. ჭეშმარიტებასთან ახლოს მე მიმაჩნია პირველი შტო, ხოლო მეორეს გადაჭრით ვებრძვი. პირველთა შეცდომა მხოლოდ ის არის, რომ თავისი აზრი სრულიად ვერ დაასაბუთეს

და მით მისცეს საშუალება მეორეთ ჰიპოტეზა სინამდვილეთ გაესაღებიათ. ისტორიულ გამოკვლევათა შორის მე ვსარგებლობ უმთავრესათ ჯავახიშვილის თხზულებებით, რაიცა წარმოადგენს დღეს ქართული ისტორიული მეცნიერების უმაღლეს მიღწევას.

მე სრულიად არა მაქვს პრეტენზია შეუმცდარობის, ჩემი კომენტარიების უეჭველობის. მხოლოდ ერთში კი ვარ დარწმუნებული: ყველა დღეს არსებულ კომენტარიათა შორის, ჩემი უფრო ახლოს დგას სინამდვილესთან და, მაშასადამე, ამ გზით გამოკვლევის გაგრძელება აღადგენს სრულ ჭეშმარიტებას. ეს კი მოითხოვს მრავალ პირთა და დაწესებულებათა შეერთებულ შრომას; ქართულ უნივერსიტეტში უნდა იქნას დაარსებული განსაკუთრებითი ფაკულტეტი შოთა რუსთაველისა, მსგავსათ უცხოეთში არსებულ ფაკულტეტებისა (მაგ. სორბონის ვიკტორ ჰიუგოს ფაკულტეტისა), რომელიც თავს მოუყრის ყველა მკვლევართ, პროფესორთ და მსმენელთ, რუსთაველის ქმნილების შესასწავლათ, გამოსარკვევათ და ერთი საბოლოო მსჯავრის დასადებათ.

1. მეთოდი.

არის ორი მეთოდი, საკითხისადმი ორნაირი მიდგომა: ერთი იწყებს დეტალებით, ელემენტებით და თანდათან გადადის მთელზე, ხოლო მეორე კი უკუღმა: იწყებს მთელით, ცენტრალური მუხლით და თანდათან გადმოდის დეტალებზე, შემადგენელ ელემენტებზე.

რუსთველის ყველა მკვლევარი ხელმძღვანელობს პირველი მეთოდით, ე. ი. პოემის ელემენტების, ფრაზების და ტაეპების, შესწავლით, ერთის ყალბათ გამოცხადებით, მეორის შესწორებით, და ასე თანდათან მთელის აღდგენით. ნ. მარს და მრავალ სხვა მის მოწაფეთ მთელი გამოკვლევები აქვთ დაწერილი «ყალბი ადგილების» შესახებ, განსაკუთრებით წინასიტყვაობასა და ბოლოსიტყვაობაზე, რომელთა სიყალბეს თუ სინამდვილეს იკვლევენ სრულიად დამოუკიდებლად მთელ პოემისა, ასე ვთქვათ მის, ხერხემლისა. მაგრამ ვინაიდან საკითხი ეხება პოეზიას, დაწერილს რვა საუკუნის წინეთ და არა მეცნიერებას და ფაქტებს, ამიტომ მსჯელობის საზომი არის არა ობიექტიური, არამედ სრულიად სუბიექტიური თვისების. მარის სიტყვებით, მისი მეთოდის «სიმართლისათვის ლაპარაკობს მკითხველის შთაბეჭდილება. თუ აღდგენილი რიგი მკითხველის თვალში ვერ არის საკმაო მტკიცებულური მის გასამართლებლათ, საეჭვოა სხვა, მეორეხარისხოვან საბუთებმა შესძლონ ჩვენი შრომის ამ ნაწილის დასა-

ფუძვლება» [1]). ამ მეთოდის სიდუსტირე აქედან აშკარაა. «მკითხველის» შთაბეჭდილების მთავარ საბუთად გამოტანა ნიშნავს მეცნიერული საზომის სავსებით უარისყოფას და ფანტაზიაში გადავარდნას. «მკითხველის შთაბეჭდილებამ» წარმოშვა სიტყვების და ასოების გაღმერთება, მათზე დიდმნიშვნელოვანი დასკვნების აგება. მაგ. ერთ მკვლევარი ვეფხისტყაოსანის დაწერას აკუთვნებს მეთუთხმეტე საუკუნეს იმ საბუთით, რომ მისი გმირები ჯდებიან სკამზე და არა სელზე, ხოლო სკამი კი მეთუთხმეტე საუკუნემდე შემოღებული არ იყოვო. ამ ნაირათ, ერთი სიტყვა სავსებით სწყვეტს პოემის ბედს. მაგრამ წარმოვიდგინოთ მეორე შესაძლებლობა: ვინმე გადამწერმა მეთუთხმეტე თუ შემდეგი საუკუნისამ დიდათ იწყინა ავთანდილის სელზე ჯდომა, როგორ თუ ასეთი დიდი კაცი ასე გლახათ ზისო და სელის მაგიერ სკამზე დასვა. ამ შემთხვევაში ბ. კაკაბაძის მთელი არგუმენტაცია ირღვევა და რუსთაველი ისევ უბრუნდება მეთორმეტე საუკუნეს.

ჩვენ არ ვიზიარებთ ამ მეთოდს. ის მიგვაჩნია მეტად მავნებლათ და მთავარ წყაროთ ამდენი შეცდომების და გაუგებრობის. შეიძლება მან მოგვცეს ხანდახან დადებითი შედეგი, მაგრამ ეს იქნება შემთხვევითი მოვლენა, უცაბედათ ნახული ჭეშმარიტება და არა თვით მეთოდის ლოღიკური დასკვნა. როცა საქმე გვაქვს ძველ ლიტერატურულ ძეგლთან, ისიც არა ავტორის ხელიდან გამოსულ ხელნაწერთან, მაშასადამე მოკლებული ვართ შესაძლებლობას შევადაროთ ვარიანტები ნამდვილთან, ცხადია ამ მეთოდს აღარ აქვს დასაყრდნობი ფუძე და ვრჩებით პირადი გუნების ამარა.

ამ მეთოდს ჩვენ ვუპირდაპირებთ მეორე მეთოდს და

---

[1]) ნ. მარი. შესავალი და დასასრულის ტაეპები ვეფხის ტყაოსნისა (რუსულათ).

ვფიქრობთ მხოლოდ ამ ხაზით მივალთ სინამდვილემდე. ჩვენ ვიწყებთ მთელისაგან, ცენტრალური აგებულებისაგან. იმით რაც უდავოა, რაც შეადგენს არსებას, სულს და გულს პოემისას და იქიდან გადავდივართ შემადგენელ ელემენტებზე. ის რაც ეწყობა ხერხემალს, რაც შეეფერება უდაო ნაწილს, რაც აძლევს ძვალს და ხორცს შთაბერილ პოეტურ სულს. რაც ეთანხმება მის შინაარს,—პოემის მიუცილებელი ნაწილია და მთელთან განუყრელად გადაჯაჭული. ცხადია, ჩვენი მსჯელობა უნდა იქნას აგებული სწორეთ ამ უდაო «ვეფხის-ტყაოსანზე», ამ უკვდავ, მუდმივ მის ნაწილზე, რის გაყალბება სპობს მთელ პოემას და მაშასადამე სალაპარაკოც არაფერი რჩება.

ავიღოთ მაგალითი. წინასიტყვაობა ეკუთვნის შოთას თუ ის ყალბია? ამ საგანზე დიდი დავაა დღემდე. როგორ შეიძლება მისი გადაჭრა? საშუალება ერთად ერთია—მისი შედარება მთელთან, პოემასთან. თუ წინასიტყვაობაში გამოთქმული აზრები არ ტარდება პოემაში, ან და სულ მისი საწინააღმდეგო ტარდება, ცხადია ის ყალბია, უვიც პირის მიერ ჩართულია. და პირიქით, თუ წინასიტყვაობა მართლა წინასიტყვაობაა პოემის, აქ თეორიულათ, სხარტულათ გამოთქმულია ის ძირითადი დებულებანი, რომელნიც შემდეგ მოქმედებაში ცოცხალი პირებით ტარდება. აშკარაა ის პოემის განუყრელი ნაწილია, ან მთლათ, ან ნაწილობრივ, პოემის შინაარსთან მსგავსებების მიხედვით.

თუ ამ მუშაობას გავაკეთებთ, წინასიტყვაობას პოემასთან შევადარებთ, დავინახავთ, რომ პირველი მართლაც წინასიტყვაა, გეგმაა მეორის. იქ გამოთქმული მსოფლმხედველობის და აზროვნების მთელი თაიგული პოემაში თანდათან იშლება, იფუჩქნება და დრამატიულ მომენტებში ყალიბდება. აქ დასახულია მიზანი და ნაჩვენებია გზანი მისკენ მიმავალნი.

ამნაირათ, პოემაში მოიპოვება ორგვარი მომენტი: ერთია მუდმივი, ძირითადი, ავტორის მიერ შეთხზული, მეორე ცვალებადი, მეორეხარისხოვანი, რომელიც შეიძლება ეკუთვნოდეს და შეიძლება არ ეკუთვნოდეს რუსთაველს. ამ უკანასკნელის გამოკვლევა, მისი ჭეშმარიტი სახის აღდგენა შეიძლება მხოლოდ პირველი, მუდმივი ელემენტის, შემწეობით. ეს არის ერთად ერთი მისაღები, ობიექტიური მეთოდი ძველ, სადაო, ნაწერების გასაგებათ და უტყუარი მსჯავრის დასადებათ.

2. მიზანი.

პოეტი იწყებს იმით, რომ მას «უბრძანეს მათდა საქებ-
რათ თქმა ლექსებისა ტკბილისა»... (ტაეპი 1) და ამ ბრძანე-
ბის შესასრულებლათ სწერს პოემას. ასეთი ამბავი ერთობ
ჩვეულებრივი იყო ძველ დროის სამეფო კარზე როგორც
ჩვენში, ისე უცხოეთში. თამარს ვინ არ აქებდა, მასზე უეჭ-
ველია მრავალი ლექსები იწერებოდა, რომელთა შორის ორმა
დიდმა ოდამ ჩვენამდე მოაღწია. მაშასადამე სრულიად ბუნებ-
რივია ის რომ პოეტ რუსთაველს ასეთივე ქებათა-ქება შეუკ-
ვეთეს; ის აღიარებს, რომ «თამარს ვაქებდეთ მეფესა», რომ
წინეთაც «ვთქვენით ქებანი ვისნი მე» (IV) ერთი სიტვით მო-
გვითხრობს სასახლეში მიღებულ ჩვეულებას.

ცხადია, რუსთაველის მიზანია თამარის ქება. ქების ფო-
რმა უკვე გამომუშავებული და ცნობილი იყო, ეს არის ოდა.
შექება მისი პირადათ, მისი გარეგნობის, სიბრძნის, ჩაცმა-
დახურვის და სხ. მისთვისაც სწორეთ ასეთი ოდა შეუკვეთი-
ათ, მას უბრძანეს ქება «წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-
კბილისა». პოეტმა კი უარყო ეს ფორმა და მის მაგიერ და-
სწერა პოემა-რომანი. ის კარის პოეტიდან გადაიქცა ნა-
ციონალურ პოეტათ. ჩახრუხაძეს და შავთელს გადააბიჯა,
მათი ფორმა, მათი სტილი, მათი შინაარსი სავსებით უარყო
და კარი შეაღო მომავალ საუკუნეთა მწერლობაში. ეს კი სრუ-
ლიად უჩვეულო ამბავია. ოდაში ქება ადვილია, ოდა თავის-
თავათ ქებას ნიშნავს, ხოლო რომანში განსაზღვრული, ცო-
ცხალი პიროვნების გამოყვანა და ქება, ისიც გვირგვინო-
სანის სრულიად შეუძლებელი და მიუღებელი ფორმაა. ეს
არასოდეს არ მომხდარა, არც მაშინ, არც დღეს. აქ მხო-

ლოდ გამოგონილი პიროვნებანი მოქმედებენ და მათი საშუალებით ხატავენ საზოგადოების ზნე-ჩვეულებებს, პიროვნებასაც, ისე კი რომ ამ პიროვნების ფოტოგრაფია არ გამოვიდეს. ამ წესს გაყვა ჩვენი პოეტიც. პოემაში არსად თამარს არ ახსენებს, მისი ვინაობა არა სჩანს. აქ იბადება საკითხი: მაშ რატომ ამბობს, რომ ის თამარს აქებს? როგორ შეიძლება აქო ის, ვისაც არ ასახელებ? ბევრს ჰგონია რომ ეს ადგილი წინასიტყვაობისა ყალბია. კიდევ მეტი, ბ. კეკელიძის აზრით მთელ პროლოგსაც კი კავშირი არ აქვს რომანთან *). პატივცემული პროფესორი მართალი იქნებოდა თუ ვერ ავხსენით სად არის თამარის ქება, ე. ი. თუ პროლოგის ეს მთავარი ადგილი ეწინააღმდეგება პოემას. მეგრამ საკმარისია ჩაუკვირდეთ შემდეგ სტრიქონებს, რომ გამოცანა ნათელი გახდეს; ავტორი ფჩხილებს ხსნის და ამბობს: «მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია» (XIX). შეფარვით ნიშნავს დამალულათ, არა ცხადათ, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, პსევდონიმით, სხვისი სახელით. ახლა კი აშკარაა პოეტის სავსებით დამსგავსება თანამედროვე მწერლებისათვის; ის გამოგონილი პირებით ხატავს მის თანამედროვე საზოგადოებას, პირველ ყოვლისა კი ამ საზოგადოების მეთაურს თამარს. ფრჩხილების ასეთი გახსნა მეტად იშვიათი მოვლენაა. ჩვეულებრივათ ავტორი ამ მუშაობას უტოვებს თვით მკითხველს; მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, რუსთაველი მეტად ინტელექტუალური მწერალია. მას უყვარს თავისი ნამოქმედარის ახსნა, ქმნის სრულიად შეგნებულად, არ ტოვებს არც ერთ ბნელ საკითხს გაუშუქებლათ. ეს მისი შემოქმედების წესი იწყება წინასიტყვაობიდან და ტარდება ბოლომდე.

ამიტომ სრულიად ბუნებრივია მისთვის პსევდონიმის გახს-

---

*) კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია ტ. II.

ნაც კი, ის წინდაწინ გვაფრთხილებს მთავარი გმირის შესახებ. მაგრამ შეიძლება ეს ადგილი ყალბია? არის მეორე ვარიანტიც, «შეფარვით»-ის მაგიერ ზოგი სწერს «შეფრინვით». რომელია მართალი? მართალია ის, რომელიც ეთანხმება მთელს, ანათებს ბნელ ადგილს, ხსნის ასახსნელს. ასეთია «შეფარვით», ხოლო «შეფრინვით» (ე. ი. სასოებით) კიდევ უფრო აბნელებს გამოსარკვევ საკითხს. თუ კი ქება არ შეიძლება დაუსახელებლათ პირის, მით უფრო არ შეიძლება მისი სასოებით ქება! ეს კარგათ ესმის ავტორსაც და ამიტომ სადაც კი ამ სიტყვას ხმარობს, უეჭველათ ასახელებს პიროვნებას ვისაც ის ეხება. მაგ. «შეფრინვიდიან ავთანდილს გულითა სულწასულითა» (ტაეპი 879). მთელი პროლოგი წინდაწინ გაფრთხილებაა მკითხველის იმაზე თუ რას ნახავს ის შემდეგ პოემაში და რა გასაკვირია თამარის შესახებაც ამასვე სჩადიოდეს.

ამგვარათ, ავტორის მიზანია თამარის ქება, ეს პიროვნება მას გამოყავს სხვა სახელით და ამ გზით ასრულებს დავალებას. ეს მის მიერ წინასწარი განცხადება, როგორც ვთქვით, სავსებით ეთანხმება მის შემოქმედებითი წესებს. მაგრამ ამ გზის სახიფათობა მისთვის აშკარა იყო. თამარ მეფის უბრალო ფოტოგრაფია, თუნდაც სხვისი სახელით და ჩინებული პოეზიით, მას გადაამტერებდა ოდაზე აღზრდილ სასახლეს და შეიძლება მეფის შეურაცყოფაც დაებრალებიათ მისთვის. ამიტომ ავტორი აკეთებს ღრმა დიეერსიას, იგონებს სახელებს, ქვეყნებს, ასწერს ვითომ შორს, უცხო ქვეყნებში მომხდარ ამბებს, და მით ცდილობს შეაპაროს მისი დროის საზოგადოებას ნამდვილი ქართული ამბები. მან მართლაც ჩინებულათ დაფარა უცხო სახელებით ქართული სახელები, ისე ჩინებულათ რომ დღესაც ბევრს დავთარს უბნევს, მაგრამ შინაარსით კი ვერ დაფარა და ეს არც იყო მისი მიზანი.

პოეტმა, მაშასადამე, მიზნათ დაისახა თამარის ქება არა

ოდით, არა პირდაპირი შესხმით, არამედ რომანის საშუალებით, ამით მან დაისახა მეორე მიზანიც—ეს ქება გაეტარებია მისაღები ფორმით, გამოგონილი ფაბულით, რომელსაც გარეგნულათ არავითარი კავშირი არ ექნებოდა არც თამართან და არც საქართველოსთან. «ესე ამბავნი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი» გადაიქცა შირმათ, რომლის საფარველს ქვეშ პოეტი ემსახურება დასახულ მიზანს. მაგრამ ეს კიდევ არ აღმოჩნდა საკმარისათ ყოველივე მითქმა-მოთქმის ძირშივე მოსაჭრელათ, პოემის წინააღმდეგ ბრძოლის გასაქრობათ. პოეტი ჩვეულებისამებრ აცხადებს წინასიტყვაობაში, რომ ეს ამბავი მან სპარსულიდან გადმოიღო და, მაშასადამე, მის უცხოობაში დაეჭვებაც კი არ შეიძლებაო. ის სწერს: «ესე ამბავი სპარსული ქართულათ ნათარგმანები, ვპოვე და ლექსათ გადავთქვი» (IX). შეიძლება ეს მისი განცხადება უკრიტიკოთ მივიღოთ? საკმარისია კარგათ ჩავუკვირდეთ ამ სტრიქონებს, რომ მასში დაფარული სიმართლე გამოვარკვიოთ. აქ ორი შეუსაბამობაა: ერთია «ესე ამბავი სპარსული», ნამდვილათ კი მთელ პოემაში სპარსული ამბავი სრულიად არ მოიპოვება; მთელი ამბავი ეხება არაბეთს და ინდოეთს. ყველა მომქმედი გმირებიც ამ ქვეყნებიდანაა. სპარსეთიდან მხოლოდ სასიძო მოდის, მაგრამ ის მხოლოდ პასიურს, წარმავალ როლს თამაშობს და არც რაიმე კვალს სტოვებს პოემაში. ერთი სიტყვით, ამბავია არაბულ-ინდოული, არავითარ შემთხვევაში სპარსული. მეორე შეუსაბამობაა სიტყვა «ვპოვე«; ეს სიტყვა პოეტის მიერ ხშირათ იხმარება და ყოველთვის ერთი და იმავე შინაარსით, ნახვა ისეთი რამის, რაც სხვამ არ იცის, არავის უნახავს. «საწოლს ვპოვე ესე მისგან დანაწერი» (712) ან «წავალ ვქებნი ანუ ვპოვებ ან სიკვდილი მოვიადრო» (741). გამოდის რომ «ესე ამბავი სპარსული» არავის სცოდნია, გავრცელებული არ ყოფილა და მხოლოდ პოეტს უპოვია. განა

დასაშვებია ის აზრი, რომ ასეთი მშვენიერი ამბავი არსებულიყოს ქართულათ და ის დამალულათ დარჩენილიყოს? ყოველ შემთხვევაში ამ «ამბის» ერთათ ერთი მოწამე რუსთაველია. მე ვიპოვე, თვითონ არ შემითხზავსო, ხოლო სხვა წყარო მისი მოწმობისა არ არსებობს, არც ქართულ, არც სპარსულ ენაზე.

შეიძლება ეს ტაეპი ყალბია? არა, და ეს იმიტომ რომ ეს ტაეპი სავსებით ეთანხმება ავტორის მიზანს—თამარი აქოს «შეფარვით», გამოგონილი გარეგანი ფორმით; უამისოთ მეფე-დედოფალი სააშკარაოზე იქნებოდენ გამოყვანილი და მით დიდი სკანდალი დატრიალდებოდა. ეს ტაეპი აძლიერებს პოეტის ცდას სქელი გრიმებით ასწეროს ქართული ამბები. ის კვალს გვიბნევს მხოლოდ, არაბული ამბავი სპარსულს მიაწერა და ისიც მხოლოდ მან გაიცნო, ე. ი. მთელი პასუხისმგებლობა გადააბრალა უცნობ უცხოელ ავტორს, რომლის დაკითხვა და სიმართლის აღდგენა შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია ვახტანგ მეექვსის შენიშვნა, (1712 წ.) რომ მთელი ეს ამბავი გამოიგონა რუსთველმა, «თვარა სპარსეთში ეს ამბავი არსად იპოვება»-ო.

მიუხედავათ ამდენი მიხვევ-მოხვევისა და გრიმისა, ამდენი ცდისა დაეფარა თამარი სქელი უცხო სამოსელით, თანამედროვე საზოგადოებამ მაინც აღმოაჩინა პოემაში მეფეგვირგვინოსანი. ამის საბუთს ვტყობილობთ ჩახრუხაძის შესხმიდან, სადაც ბოლო ტაეპი, ალბათ გადამწერის მიერ მიმატებული, თინათინში პირდაპირ თამარს ხედავს. ამასვე მოწმობს «ვეფ. ტყაოსნის» ბოლოსიტყვაობაში ვაღაცას მიერ ჩართული ტაეპები, რომლითაც მთელი პოემა დამცირებულია, მისი მნიშვნელობა გამრუდებულია. აქ ნათქვამია, რომ «ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად», ე. ი. მეფის გასართობათ, და «ამითა ვილაყფეთანი», მაშინ როდესაც

რუსთაველი წინასიტყვაობაში გასართობ ლექსებს გმობს. ნამდვილი ლექსობა-შაირობა—პირიქით, «სიბრძნისაა ერთი დარგი»; მაშასადამე სალაყბო აქ არაფერია. ასეთი ანტირუსთველური კომენტარიების თვით რუსთველისათვის მიწერა საპირო გახდა თამარ მეფის დასაფარავათ პოემისაგან. ყალბის მქნელმა ვითომ გააძლიერა რუსთველის შირმები, მაგრამ ეს ჩაიდინა სრულიად არარუსთველურათ, არამედ ბრიყვულათ.

ამნაირათ. წინასიტყვაობის ფორმალური განხილვაც კი საკმაო საბუთს იძლევა იმისას, რომ ვთქვათ—«ვეფხის-ტყაოსანში» მართლაც თამარ მეფეა შექებული, აწერილია საქართველოს ამბები. ამ დებულების უეჭველობას კიდევ უფრო ნათელყოფს პოემის შინაარსის განხილვა.

3. «ესე ამბავი»

პოემის «ესე ამბავი» ანუ. ახლანდელი ენით რომ ვთქვათ, მისი ფაბულა შეიცავს ორ მთავარ მომენტს: არაბეთში როსტევან მეფის მიერ თავისი ერთად-ერთი ქალის ტახტზე აყვანას და შვიდ სამეფოთ დაყოფილი ინდოეთის ერთ სამეფოთ გადაქცევას. საიდან აიღო ავტორმა ეს ამბები?

ქალის მეფობა არ იცის არაბეთის ისტორიამ; საზოგადოთ ქალი-მეფე არ არსებულა არც აღმოსავლეთში, არც დასავლეთში—საბერძნეთ-რომში. ერთად-ერთი ქვეყანა სადაც ქალი გათანასწორებული იყო კაცთან—ეს არის ძველი ეგვიპტე. მაგრამ აქაც ქალი ტახტზე არ დაუსვამთ სულ ბოლო დრომდე, პტოლომეის დინასტიამდე. როცა კლეოპატრა ცნობილი ვერაგობით და კანონიერი მემკვიდრეთა დახოცვით ტახტზე ავიდა და თავისი მეფობა დაუსრულებელი სკანდალებით აავსო. ასე რომ ეს ერთი მაგალითი ქალის მეფობისა უფრო უარყოფითი ხასიათის გამოდგა და ის ვერც ერთ დიდ პოეტს ვერ აღაფრთოვანებდა. ქალისადმი სრული უარყოფითი დამოკიდებულება ახასიათებს განსაკუთრებით მაჰმადიანობას, ისლამის მოძღვრებას ისე როგორც ბრამისას, (ინდოელთა) რასაც პირდაპირ ეწინააღმდეგება რუსთაველის დებულება «ლეკვი ლომისა, სწორია ძუ იყოს თუნდა ხვადია». და მას, რასაკვირველია, არაბი-ვეზირები ვერ იტყოდენ.

ერთი სიტყვით, რუსთაველს არ შეეძლო მოენახა აღმოსავლეთის ისტორიაში, მით ნაკლებ არაბეთისაში, ქალიშვილის გამეფება. და ან რატომ უნდა ეძებნა ეს ამბავი იქ, სადაც არ იყო, და არ დაენახა იქ, სადაც იყო, სადაც ნამდვილათ მოხდა და ესეც მის თვალის წინ. ეს იშვიათი ამბავი გახლდათ

საქართველოს მეფის გიორგი მესამის მიერ თავისი ერთადერთი შვილის თამარის ტახტზე აყვანა თავისავე სიცოცხლეში. ეს იყო პირველი ქალი-მეფე ჩვენში. მანამდე ასეთი ამბავი არც საქართველოს ისტორიამ იცოდა. მართალია აქ ხშირათ მეფეს მემკვიდრეთ ქალიშვილი რჩებოდა, მაგრამ მას რთავდენ უცხო ბატონიშვილს და ტახტზე მისი ქმარი აყავდათ, როგორც ეს მოხდა მაგ. მეოთხე საუკუნის დამდეგს, როცა ასფაგურ მეფის მემკვიდრე ქალს ქმრათ მოგვარეს სპარსეთის მეფის ბუ'ში მირიან და ტახტზე აიყვანეს. თამარის გამეფების ამბავი აწერილია დაწვრილებით «ქართლის ცხოვრება»-ში, ხოლო თინათინის გამეფება «ვეფხის-ტყაოსანში». ამათი შედარება ნათელ ყოფს მათ მსგავსებას, ერთი მეორის განმეორებას. ხშირათ ერთი და იგივე სიტყვითაც კი. აი ამ ორი აწერილობის ნიმუშები:

«ქართლის ცხოვრება»: მეფე გიორგიმ მოიწვია დიდებულნი, ვაზირები, სპასპეტები, სპასალარები, სასულიერო პირნი და მათი თანადასწრებით თავის ქალს თამარს «დაადგა თავსა მისსა გვირგვინი ოქროსა მის ოფაზისა, აღმკული იაკინთთა და სამარაგდოთა მიერ, და მდიდარნი ერისანი ლიტანიობდენ წინაშე პირსა მისსა და თვით მეფემან მფიცებელმან ერთგულობისა და ერთსულობისა მისისათვის»... (გვ. 274) *).

ხოლო როცა მამის გარდაცვლის შემდეგ თამარი ფაქტიური მეფე ხდება, ხელახლა შემოკრბეს მთავარნი და დიდებულნი «თაყვანი სცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა შვიდთავე სამეფოთა და დაიპყრეს თავისი ადგილი...» ხოლო თამარმა «განახვნა საუნჯენი მამა-პაპათანი და განფინა ყოველთა ზედა მოწყალებანი და შეწყნარებანი... არა დაუტოვა მოქენე რო-

---

*) ვსარგებლობ ბროსეს გამოცემით 1849 წელს.

მელსაცა ზედა არა უხვებით მოფინა წყალობა და სამართალი» (გვ. 278, 279).

«ვეფხის ტყაოსანი»: მეფე როსტევანი იწვევს ვაზირებს და მათ უხიარებს თავის აზრს თინათინის გამეფების შესახებ. ვაზირნი უწონებენ ამ ნაბიჯს; შემდეგ მეფე იწვევს დიდებულთ, სპასპეტებს, ჯარებს და მათ უფროსებს და სხ. მეფექალის სანახავათ.

«თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა,
დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა,
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა...»
«უკუ დგეს და თაყვანი სცეს მეფეთა და მათთა სპათა,
დალოცეს და მეფეთ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა...»

შემდეგ თინათინი იწყებს ქველმოქმედებას,

«გასცა უზომო, უანგარიშო ულევი. უბრძანა:
«წადით გასხენით რაცა სად საჭურჭლენია,
ამილახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია
მოიღეს, გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია...»
«არ დაარჩენს ცარიელსა, არა ყმასა და არცა ქალსა...»

(ტაეპები 3—24).

როგორც ხედავთ ისტორიკოსის მიერ მძიმე ენით აწერილი ცერემონია აწერილია რუსთველის მიერ მსუბუქი ენით, პოეტურათ. სურათი ორივესი ერთნაირია, არავითარი არსებითი განსხვავება მათ შორის არ მოიპოვება, გარდა გარეგანი ფორმისა. ორივე აქებს თავიანთ გმირს—ისტორიკოსი თამარს, პოეტი თინათინს, ორივე ერთნაირათ ხასიათდება.

ერთი სიტყვით. ეჭვს გარეშეა ის, რომ ამბავი თინათინის გამეფებისა არის ამბავი თამარის გამეფებისა, ეს ქართული ამბავია, არაბულათ გამოტანილი.

ასევე უნდა ითქვას მეორე ამბავზე—ინდოეთის შვიდ სამეფოის ერთ სამეფოთ გადაქცევაზე. ბ. კეკელიძე მართალია,

როცა ამბობს რიცხვი შვიდის მნიშვნელობაზე სემიტურ ქვეყნებში. შვიდი ყველგან საყვარელი რიცხვია და დიდ როლს თამაშობს; ქვეყანა შვიდ დღეს გაჩნდა, კვირე შვიდი დღისაგან შესდგება, მნათობები შვიდია. მაგრამ ამ ამბის ფაქტიური მხარე მხოლოდ საქართველოს შეეძლო პოეტისათვის მიეცა. მისი სიტყვები «ინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოველი კაცი ხართ მცნობელი...» (236). სრულიად არ შეესაბამება ინდოეთის სინამდვილეს. ეს ზღაპრული ამბავია, ნამდვილათ კი ინდოეთი ყოველთვის იყო და არის დღესაც დაყოფილი მრავალ ასეულ დამოუკიდებელ ერთეულებათ და არასოდეს ერთ სამეფოთ არ გადაქცეულა. სამაგიეროთ საქართველოში კი მოხდა შემდეგი: «ქართლის ცხოვრების» თქმით ქართველი ერი თავიდანვე იყოფოდა შვიდ თემათ: (აფხაზეთი, სამეგრელო, რაჭა, ქართლ-იმერეთი, კახეთი, ჰერეთი და სამცხე. გურია როგორც გვიან გაშენებული (მეოთხე საუკუნის შემდეგ) აქ არ შედის.) ეს შვიდი თემი თანდათან გახდა შვიდ დამოუკიდებელ ერთეულათ, შვიდ სამეფოთ, რომელნიც შემდეგ გააერთიანა დავით აღმაშენებელმა და მისმა მემკვიდრეებმა. ამიტომ თამარის ისტორიკოსი ყველა სახელმწიფო აქტს ასწერს შვიდი სამეფოს სახელით. გიორგი მეფე ეთათბირება თამარის გამეფების შესახებ «შვიდთავე სამეფოთა თვისთამან», თამარის გასამეფებლათ «შემოკრბეს შვიდთავე სამეფოთა მთავარნი და დიდებულნი», «დალოცეს და ადიდეს სპათა შვიდთავე სამეფოთა», «მოეცვა შვიდივე ესე სამეფო შეპირვებასა ამას საქმისასა»—ერთი სიტყვით თამარის გამეფების თუ ქორწინების საქმეში უეჭველათ «შვიდი სამეფო», (ე. ი. მთელი საქართველო) იღებს მონაწილეობას.

როგორც ხედავთ, პოეტმა ჩვენი ქვეყნის ისტორიული ამბები გაანაწილა არაბეთს და ინდოეთს შორის. ზოგი იქ მოათავსა, ზოგი აქ. ასევე მოიმოქმედა თამარის შესახებ; მისი

პირადი თვისებები და შემთხვევები გაანაწილა თინათინის და ნესტანდარეჯანს შორის; თუ მისი გამეფების ამბავი თინათინის სახით გამოხატა, სამაგიეროთ თამარის დრამატიული ბრძოლა ოჯახობის და ცოლ-ქმრობის ნიადაგზე ნესტანდარეჯანის ამბავში განასახიერა.

ნესტანდარეჯანის ტრაგედია იწყება იქიდან, რომ მას მის დაუკითხავათ და ნება დაურთველათ მოგვარეს უცნობი უცხო საქმრო და სურდათ მისთვის მითხოვება. აქედან დიდი შუღლი და არევ-დარევა ინდოთა სახელმწიფოსი.

თამარის მთელი საოჯახო ტრაგედია იწყება იმით, რომ მის დაუკითხავათ და ნებადაურთველათ მოგვარეს უცხო საქმრო, გიორგი ბოგოლიუბსკი, და მასზე ჯვარი დასწერეს. აქედან დიდი შინაგანი განხეთქილება და არევა, რასაც კინაღამ გადაყვა სახელმწიფო. ეს ისტორია ცნობილია.

ორივე ამ ფაქტს ერთნაირათ უარყოფით უყურებს ორივე მწერალი, პოეტიც და ისტორიკოსიც. პირველი იცავს ნესტანდარეჯანს და მის უფლებას, ხოლო მეორე თამარს და მის ქალურ უფლებას. აი როგორ ასწერს ისტორიკოსი ამ ეპიზოდს: გიორგი რუსის მოსაყვანათ გაგზავნეს თფილისის ვაჭართა მეთაური, მაგრამ «ესე ვერ განიზრახეს კეთილათ, რამეთუ არცა იგი კაცი ღირსი საქმისა წარავლინეს, და არც რომელსა მოიყვანდეს მისსა მეცნიერ იყვნეს... შინაგანსა მისა არა რას მეცნიერ იყვნეს, არც ჩვეულებასა მისსა». მიუხედავათ ამისა დიდებულნი ითხოვენ თამარისაგან მასზე დაქორწინებას. თამარი უარზეა და თავის უარს ასე ასაბუთებს: «კაცნო, ვითარ ღირს შეუტყობლად ესე ვითარისა საქმისა ქმნად; არა ვიცით კაცისა ამისთვის უცხოსა, არც ქცევა, არცა საქმე, არც ბუნებისა და ჩვეულებისა, არცა მხედრობისა და სიქველისა. მაცადეთ ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე

გინა სიდრკე მისი.» ეს საბუთი არ შეიწყნარეს და ის «ფრიად აიძულეს და გაბამზადეს ქორწილი» (გვ. 285).

აქედან აშკარაა ის ბრძოლა, რომელიც თამარის გათხოვების ირგვლივ წარმოებულა. თამარის საბუთები ისეთი ახალი ამბავი იყო მაშინდელი საზოგადოებისათვის, რომ უეჭველია ის ასე ადვილათ ვერ გაიმარჯვებდა. ის ითხოვს საქმროს გაცნობას, შესწავლას, მოწონებას თუ დაწუნებას, ერთი სიტყვით თავის გულისთქმით ამორჩევას. ეს არის თეორია სიყვარულით ქორწინებისა, რაც სავსებით ეწინააღმდეგებოდა მიღებულ ადათ-ჩვეულებას. ქალის და ვაჟის დაქორწინება სავსებით ჭირისუფლის უფლებას შეადგენდა და არც არავინ ეკითხებოდა არა თუ ქალს, არამედ არც ვაჟს. თამარმა ბოლოს მაინც თავისი გაიტანა, ქმარი გააძევა, მის მომხრეთა მიერ გამოცხადებული ომი მოიგო და შეირთო სიყრმიდან თან შეზდილი დავით სოსლანი.

ამ უდიდეს დრამატიულ რომანიულ ამბავს არ შეეძლო არ მოეხდინა გადამწყვეტი შთაბეჭდილება პოეტზე და მას თამარის ქების მთავარ მომენტათ აი ეს ეპიზოდი არ გამოეტანა. ის უეჭველია ეკუთვნოდა ისტორიკოსთან ერთად თამარის მოსარჩლეთა გუნდს და ხელს უწყობდა მის გამარჯვებას. აქ მისთვის საკმარისი იყო სინამდვილის პოეტურათ აწერა. რომ მშვენიერი რომანი შეეთხზა. უკეთესი ფაბულის გამოგონება არავითარ ფანტაზიას არ შეეძლო.

ჩვენ აქ არ შევუდგებით წვრილმალ ისტორიულ ფაქტებს, რომელთა აწერა ნათლათ სჩანს პოემაში. შეადარეთ მაგ. შამქორის ომი ტარიელის ხატავეთის ომთან და დაინახავთ ერთიგივეობას სტრატეგიულ დაწყობილობის, ომის პროცესის, გამარჯვების, ქალაქთა უსისხლოთ აღების, ნადავლთა მოგროვების; სურათი საერთო ხასიათისა სინამდვილეში და პოეზიაში. ასეთი მაგალითები ბევრი მოიძებნება. ჩვენთვის

საკმარისია დასახელებული ამბები, რომ გადაჭრით ვთქვათ: პოემის ფაბულა, მთავარ ამბავთა კონა, ამოღებულია საქართველოს სინამდვილიდან—ეს ქართული ამბავია და მას არავითარი კავშირი არ აქვს არაბეთ-ინდოეთის სინამდვილესთან. ამ ფაბულის მთავარი ღერძია რომანიული მხარე, ქალ-ვაჟის დამოკიდებულება, სიყვარულის ისტორია. პოემა არის აპოთეოზი, უაღრესი განვითარება თამარ მეფის აზრებისა ცოლ-ქმრობაზე. პოეტმა შესძლო ამ დებულებებისათვის სისხლი და ხორცი შეესხა და ის საუცხოო ფორმით სამარადისოთ გაეხადა.

4. როდანი.

«ვეფხის ტყაოსანი» არის გალექსილი რომანი. რატომ ავტორმა მიიღო ეს ფორმა. რატომ ლექსი არჩია პროზას? ამის ახსნას ჩვენ ვპოულობთ წინასიტყვაობა'ში. აქ წამოყენებულია თეორიული დებულებანი პოეზიაზე და სიყვარულზე, რომელთა განხორციელება ხდება პოემაში. პოეტს უყვარს წინდაწინ აგვიხსნას ის, რაც შემდეგ უნდა გააკეთოს. ის არ არის «შეუგნებელი შთაგონების» მატარებელი: მასში გონება სჭარბობს შთაგონებას და ამიტომ არ ტოვებს არც ერთ ბნელ კუთხეს აუხსნელათ. პოემა დასაბუთებაა მისი წინასიტყვაობის.

რუსთველი შეუდგა «ამბის» ლექსათ გარდაქმნას და პირველ ყოვლისა საჭიროთ დაინახა აეხსნა ლექსის მნიშვნელობა. მისი აზრით ლექსი არის «მარგალიტი წყობილი», ე. ი. შერჩეული სიტყვების შერჩეულათ დაწყობა ისეთი თანდათანობით და რაოდენობით, რომ დაემსგავსოს ძაფზე აცმულ მარგალიტებს. ამ მიზნის მისაღწევათ საჭიროა შაირობის კარგათ გაგება, მისი ბუნების ცოდნა. ის «სიბრძნისაა, ერთი დარგი». ე. ი. ის სიბრძნეა, მარა არა ყოველნაირი, არამედ «საღმრთო საღმრთოთ გასაგანი». ის ციურია, ზეგარდამოა, ზეცას ამყვანი, აღმამფრენია. შაირობა უმთავრესათ მუსიკალური ნაწარმოებია, ის მუსიკაა; ამიტომ ავტორი მუდამ ლაპარაკობს არა მის მკითხველზე, არამედ მსმენელზე: ლექსი სმენას ატკბობს, ის არის «მსმენელთათვის დიდი მარგი», ვინცა «ისმენს კაცი ვარგი», ის «საუბართა ტკბილთა ფრქვევაა». სიბრძნის ამ დარგის ნიშნობლივი თვისებაა სიმოკლე, ლაკონიზმი, «გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის შაირია ამით კარგი». ასეთნაირად

დაწყობილი სიტყვები არის იმავე დროს მუსიკალური; ნამ-დვილი პოეტია ის, «ვისიც ენა მუსიკობდეს».

ამგვარად. რუსთველისათვის ლექსი ნიშნავს აზრს ბრძნულს, ფრაზას ლაკონიურს, სიტყვებს ნოტებივით დაწყობილს. როგორ განასორციელა მან ეს დებულებანი? დიდებულათ. უკეთესი, უსიამოვნესი ჯერ ქართველს არ ამოხდენია პირიდან. ეს იმდენათ უდაოა. იმდენათ საყოველთაოთ მიღებულია, რომ ის გრძელ ახსნას არ საჭიროებს.

პოეტის ტეხნიკა უბრალოა: თითქმის ყველა მისი წინადადება მთავარი წინადადებაა, შემდგარი სამი-ოთხი სიტყვისაგან; მათ შორის კავშირია არა სიტყვიერი, არამედ ლოღიკური, პსიხოლოგიური; ის სრულიად არ ხმარობს კავშირათ სიტყვებს «რომელი», «რომ» და სხ. ძალიან იშვიათად «და»-ს; აბულაძის მიერ ყველა მეოთხე სტრიქონის დაწყება «და»-თი არ არის რუსთველური. ის აგრეთვე იშვიათათ ხმარობს ნაცვალ-სახელებს, ამ ცნებას ის თვით ზმნის ბრუნვაში ხატავს: ის არ იტყვის მან გასცა, არამედ გასცა. პოეტს უყვარს ერთი და იმავე აზრის სხვადასხვა სიტყვით გამოხატვა, ამით მისი გაძლიერება. «გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი», შინაარსით ერთი და იგივეა, განსხვავება ხარისხშია. ამ ტეხნიკას ერთვის პოეტის უაღრესათ ხალხურობა, ხალხური მუსიკალური ჰანგების, ხალხის სულში ჩაქსოვილი ნოტების ზედმიწევნით ცოდნა და მათი ხალხის გულიდან ამოლაგება. ქართველი ხალხი თავის სიხარულს და მწუხარებას რუსთველურათ გამოსთქვამს; მხოლოდ რუსთველი მისწვდა ერის სულიერ სიღრმეს, საიდანაც მან მარგალიტები ამოალაგა. ხრეში კი იქ დატოვა. ყველა მისი ნოტები ჰარმონიულათ მღერის, არ ისმის არც ერთი ყალბი ჰანგი. რუსთველს ბაძავდენ საუკუნოების განმავლობაში. ყველა ქართველი პოეტი მეცხრამეტე საუკუნემდე სწერდა რუსთველურათ. არის ჩინებული მიბაძვანი,

მარა მაშინვე მიხვდებით მათ ყალბ რუსთველობას. ჩონჩხი რუსთველური, სული კი არარუსთველური, მარგალიტი იშვიათია, ხრეში კი უთვალავია.

რუსთველმა პირველათ იწყო ამ სტილით წერა. მან სავსებით ზურგი შეაქცია გამეფებულ ფორმას პოეზიისას და შექმნა საკუთარი, ძირბუდიანათ განსხვავებული არსებულისაგან. საკმარისია შეადაროთ ის მაშინდელ საუკეთესო პოეტებს— ჩახრუხაძეს და შავთელს, რომ მკაფიოთ გამოჩნდეს მათ შორის ღრმა განსხვავება.

აი ორი ნაწყვეტი:

შავთელი იწყებს:

«სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან. მომცეს მე სწავლა
თქვენდა შემკობად:
«გიძღვენ ქებანი, მწადს აქ ებანი, დავითის დავით, ვსჯდე
მუსიკობად»...

რუსთველი:

«იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ მრავალი, ყმიანი»...

განსხვავება აშკარაა: ერთია მძიმე, გამოგონილი; წიგნებისაგან შეთხზული. მეორეა მსუბუქი, ბუნებრივი, ხალხის გულისაგან ამოღებული.

ერთი და იგივე აზრი ორივე პოეტს ენის მხრით სავსებით სხვადასხვანაირათ აქვთ გამოთქმული. მაგალითათ შავთელი სწერს:

«ესა მართალი, ესამართალი. ხეს შეიქმს ხმელსა
წყალმომდინარეთ».

რუსთველი:

«ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლათ».

უკეთესი გამოთქმა შეუძლებელია.

ერთი სიტყვით. რუსთველის შეხედულებანი პოეზიაზე

სავსებით გატარებული, ხორცშესხმული და დამტკიცებულია მის მიერვე პოემაში. ის ქართული პოეზიის უდიდესი ქურუმია.

ახლა ადვილი გასაგებია რატომ თავისი რომანი დასწერა ლექსათ. მისცა მას პოეზიის უმაღლესი ფორმა, გახადა ის «საუბართა ტკბილთა ფრქვევათ». ამას მოითხოვდა უაღრესი პატივისცემა იმ პირისადმი, რომელსაც ის უგალობდა. თამარის საოცარი თავგადასავალი იწვევდა პოეტში უმაღლეს შემოქმედებას და აღფრთოვანებას. ამაზე უკეთეს, უკეთილშობილეს და უწმინდეს ბრძოლას სიყვარულის ნიადაგზე რუსთაველი ვერავითარი ისტორიიდან, ვერავითარი სხვა წყაროდან ვერ მიიღებდა. მას ვერ შეედრება ვერც ვისის და რამინის, ვერც პარისის და ელენეს ამბავი. რუსთველის რომანი ეს ახალი თავია მეთორმეტე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში.

პირველ ყოვლისა პოეტი, თავის ჩვეულებისამებრ გვამცნევს თავის თეორიულ აზრებს სიყვარულზე, აყენებს მთელ რიგ დებულებისას, რომელთა განხორციელება ხდება პოემაში. ამ დებულებათა გასაგებათ საჭიროა ვიცოდეთ რა მიმდინარეობანი არსებობდენ ამ სფეროში იმ დროს და მის წინ აღმოსავლეთში და დასავლეთში.

საყოველთაოთ ცნობილია, რომ ძველმა ქვეყანამ ათინამ, რომმა, და აღმოსავლეთმა, არ იცოდა ცოლქმრობის სიყვარულზე აგება. დაქორწინების მოტივი იყო არა ქალ-ვაჟის სიყვარული, არამედ სრულიად სხვა, სიყვარულზე დამოუკიდებელი მოსაზრებანი: გარეგანი სილამაზე, ჩამომავლობა, მზითვი, სახელმწიფო ინტერესები და სხ. ქალს გაათხოვდენ. ვაჟს ცოლს მიგვრიდენ. ეს ანტიური წესი სავსებით შეითვისა საქრისტიანო ქვეყანამ. დღესაც სამი მეოთხედი ქორწინებისა ამ წესით ხდება. თამარის გათხოვება მისი სურვილის

წინააღმდეგ სავსებით შეეფერებოდა ამ ადათს და მის წინააღმდეგ ამხედრებული ქართველობა და გიორგი რუსისათვის მხარის დაჭერა სწორეთ ამ წმიდათა წმიდის შელახვით იყო გამოწვეული. ჯერ სიყვარული და შემდეგ ქორწინება—სრულიად ახალი ამბავია. წინეთ კი იყო პირიქით, ჯერ ქორწინება და მერე სიყვარული.

მაგრამ ვინაიდან ადამიანის ბუნება ვერ ეტევა ამ ვიწრო ჩარჩოში ხდება მისი გადალახვა, მისი შევსება არა-ლეგალური, აკრძალული სიყვარულით. აი ეს სფერო იძლეოდა რომანის საგანს: ძველათ რომანები ასეთ სიყვარულზე იწერებოდა. თითქმის ერთ და იმავე დროს დასავლეთში და აღმოსავლეთში დაიწერა ორი რომანი არსებითად ერთი და იგივე რომანტიული შინაარსის. სპარსელთა «ვისირამიანი» და ბრეტონელთა «ტრისტან და იზოლდა» სავსებით არალეგალურ სიყვარულზეა აგებული; ტრისტანს უყვარს იზოლდა, მარა მათი შეუღლება ფიქრათაც არ მოსვლიათ. ქალი თხოვდება სულ სხვა პირზე, ხოლო საყვარლათ კი ტრისტანს უდგება. ვისი თხოვდება მეფე მოაბადზე, ხოლო საყვარლათ კი რამინს იყენებს. მას ასეთ რჩევას აძლევს გამდელი: ყველა დიდი კაცის ცოლს საყვარელი ყავს და შენც რომ გყავდეს რა გიჭირსო! ორივე ამ რომანში აწერილია ორ არსებას შორის სქესობრივი, ფიზიკური კავშირი, ხორციელი სიყვარული, ხოლო ქმარი შირმაა მის დასამალავათ.

აი ამ ვულგარულმა მიჯნურობამ გამოიწვია მეორე უკიდურესობა—სულიერი, მორალური ანუ, როგორც ეძახიან, პლატონიური სიყვარული. ამ გრძნობის მატარებლები იყვნენ რაინდები, და საშუალო საუკუნოების ტრუბადურები. ამათ ძველი ადათები ხელუხლებლათ დატოვეს, ოჯახი ისევ ძველებურათ დგებოდა, მაგრამ მას ავსებდენ სულიერი კავშირით. ქალის კულტით, თავის ოჯახის გარეშე. ამ ჩვეუ-

ლებას მორჩილებდენ მოწინავე მოღვაწენიც. უდიდესი პოეტებიც. მაგ. დანტეს უყვარდა ბეატრიჩე. მაგრამ შეირთო სულ სხვა პირი. მისთვის წინადადებაც კი არ მიუცია: ის კმაყოფილდება ბეატრიჩეს შორიდან სიყვარულით. ასევე პეტრარჩკი. ამბობენ თავის საყვარელი ლაურა მხოლოდ ერთხელ ნახა ეკლესიაში და ეს საკმარისი იყო მუდამ ის ყვარებოდა. ქალის უდიდესი პატივისცემა, მის წინაშე მოწიწებით მუხლის მოყრა, მისგან ქების და ჯილდოს მიღება, მისი დაცვა და მისთვას თავის დადება—აი რაში იხატებოდა პლატონიური სიყვარული.

ამ ორგვარი სიყვარულის სინტეზი იწყება მეთექვსმეტე საუკუნიდან, იწერება რომეო და ჟულიეტა, იბადება თანამედროვე რომანი.

რა პოზიცია დაიჭირა რუსთველმა ამ მიმდინარეობათა შორის?

ფიზიკურ, არა-ლეგალურ კავშირს ის სავსებით გმობს, მას უწოდებს «სიძვას» ანუ მრუშობას, «მიჯნურობა სხვა რამეა. არ სიძვისა დასადარი, იგი სხვაა. სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი». მას «სძულს ხვევნა. კოცნა. მლაშა-მტლუში». ეს არის «ხელობანი ქვენანი». ამით მან დაგმო ყველა იმ დროის რომანები. მთელი ეს ვისრამიანული ლიტერატურა. ამ მიმართულებას ის უპირდაპირებს თავის გაგებას სიყვარულის, რასაც ის არაბული სიტყვით—მიჯნურობით ხატავს. «ის არის საქმე საზეო. მომცემი აღმაფრენათა», ის არ შეედრება მრუშობას, აქ პოეტი კიდეეაც წყრება, მათ «ნურვინ გარეკვთ ერთმანერთსა, გესმათ ჩემი ნაუბარი»! მიჯნურს მართებს «სიბრძნე. სიმდაბლე, სიუხვე, სიყმე და მოკალეობა, ენა, გონება. დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა».

მთელი ეს დახასიათება სავსებით უდგება რაინდულ სიყვარულს. კიდეე მეტი, აქ ხაზგასმულია იმ გრძნობის ნიშნო-

ბლიკი თვისება, მისი საიდუმლოება, «შორით ბნედა, შორით» კდომა, შორით დაგვა. შორით ალვა». პლატონიური სიყვა-ოული სამაგიეროს არ ითხოვდა, შეიძლება ქალს არც კი სცოდნოდა რომ ის ვინმეს უყვარს. აი ამ სიტყვებზე ემყარე-ბიან მარი. ჯავახიშვილი და სხვები. როცა ამბობენ, რუსთა-ველი პლატონიურ სიყვარულს უკალობსო. მართალია ეს დასკვნა? არა და აი რატომ.

პოეტი სიყვარულის პროცეს ჰყოფს პერიოდებად; ის ამბობს: «არს პირველი მიჯნურობა არ დაჩენა ჭირთა მალ-ვა». ე. ი. პირველ პერიოდში სიყვარული რაინდულია, საი-დუმლოა, არავინ იცის. არის ეს დახასიათება სწორი? აიღეთ თანამედროვე ლიტერატურა ამ საგანზე. გადაშალეთ რომე-ლიმე ენციკლოპედია და ნახავთ პირველი სიყვარულის რუს-თველურად დახასიათებას. აი მაგ. ლარუსის ენციკლოპედია-ში როგორ არის განმარტებული სიყვარული: «პლატონიური სიყვარული არის პირველი პერიოდი სიყვარულისა». შემდეგ პერიოდში კი საიდუმლო ცხადდება, პლატონიური სიყვარუ-ლი რომანად ხდება. რაიცა თავდება ან გამარჯვებით, ან ტრაგედიით. აი ამ უკანასკნელ პერიოდზე რუსთველი თავის წინასიტყვაობაში დუმს, ის აღარ აგრძელებს «პირველ მიჯნურობას» მეორე მიჯნურობით, თუმცა შემდეგ კიდევ მოდის ოთხი ტაეპი, სადაც პოლემიკური ტონია აღებული. რაშია საქმე? შეიძლება რუსთველი სიტყვას «პირველი» არ ხმარობს თანამედროვე მნიშვნელობით, რომლის შემდეგ უეჭველად მეორე. ანუ გაგრძელება მოსდევს? ეს ჰიპოტეზა სიმართლეს მოკლებულია. ვინაიდან პოეტი ამ სიტყვას სხვა-განაც ხმარობს და სწორედ ახლანდელი მნიშვნელობით. აი მაგ. როგორ სწერს მეორე ალაგას: «დიდათ ვიამე, შეფეო, პი-რველ ნახვითა თქვენითა, მერმე აგვავსენ მრავლითა ტურფა ფერითა ძღვენითა» (1279). ე. ი. ტარიელი ნასიამოვნებია პირ-

ველათ მეფის ნახვით, მეორეთ, ტურფა ძღვენით... თინათინი ასე მიმართავს ავთანდილს: «პირველ ყმა ხარ, ხორციელი არ-ვინა გვყავს შენად სწორად, მერმე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაპორად» (85). აქაც პირველს მეორე მოსდევს და ასე ყოველგან. მაშ რატომ წინასიტყვაობაში უკუღმა მოხდა? რუსთველს მძლავრი ლოღიკა აქვს, ხაზი ნათელი და მკაცრი აქვს აღებული, გულმავიწყობა დაუშვებელია. ის წერილმანებსაც არ ტოვებს აუხსნელათ. ერთად-ერთი მისაღები ჰიპოტეზა ისაა, რომ შემდეგი ტაეპები ყალბია; რუსთველის აზრი «მეორე სიყვარულზე», ე. ი. მის გამომქღავნებაზე, რომანზე, იმდენათ უჩვეულო, აღსაშფოთებელი იყო, რომ ის ხელათ შესცვალეს სულ საწინააღმდეგო აზრებით. ეს რომ ასეა სჩანს შემდეგი ტაეპიდან (XXIX—XXXI). ეს იწყება ამნაირად:

«მას უშმაგო ვინ მიენდოს, ვინ მოყვარე გაამქღავნოს,
ამის მეტი რომცა ირგო, მას ავნოს და თვითცა ივნოს»...

ერთი სიტყვით გამართულია ბრძოლა სიყვარულის გამქღავნების წინააღმდეგ; ამ ტაეპის ავტორი იცავს მაშასადამე პლატონიურ სიყვარულს ბოლომდე. ვის ეკამათება? რუსთველს? პოეტიც ხომ ამას ამბობს «პირველ სიყვარულზე»; ცხადია კამათობს არა ამ ტაეპის წინააღმდეგ, არამედ იმ ტაეპის, სადაც გამქღავნებულ სიყვარულზეა ლაპარაკი და რამაც ჩვენამდე არ მოაღწია.

პ. ინგოროყვაც *) ამ ტაეპებს აღიარებს ყალბათ, მაგრამ სრულიად სხვა მოტივებით. მისი აზრით ყალბის მქნელი გმობს რუსთველს, რომელმაც სიყვარული გამოაცხადა თამარისადმიო. ნამდვილათ კი ეს სრულიად დასაგმობი ამბავი არ ყოფილა იმ დროს. «ქართლის ცხოვ.» სიტყვით, თამარში მრავალნი იყვნენ შეყვარებულნი, ერთი ოსის ბატონიშვილი

*) რუსთაველიანა ტ. I.

კიდევაც გაგიქებულა სიყვარულით და მომკვდარა ნიკოზ ში. «რამდენი ხელმწიფეთა ძენი ამისთვის (თამარისათვის) გაპრით გამიკნურებულნი და ხელქმნილნი ვეღარა სთმობდეს სურვილსა მისსა», სწერს ისტორიკოსი (გვ. 288). საზოგადოთ რაინდული სიყვარული არათუ ვინმეს შეურაცხმყოფელი იყო, ის პირიქით მიღებული იყო მეფეთა სასასლეში და შედიოდა რაინდთა ორდენში, როგორც მისი მიუცილებელი ნაწილი (ქალის კულტი).

აშკარაა, ყალბი ტაეპები გამოწვეულია არა ამ მიზეზით, არამედ იმით რომ რუსთველის მიერ სიყვარულის ახალი თეორიის წამოყენება, მეორე პერიოდზე გადასელა არ მოეწონათ პლატონისტებს და მას გაუმართეს პოლემიკა. ამას მიუმატეთ ძველი აღთქმის ხალხი, თამარის მოქმედების მოწინააღმდეგენი, რომელთაც ხმალიც კი იშიშვლეს კანონიერი ქმარის (გიორგის) დასაცავათ. რუსთველის თეორია კი აშკარა გამართლება იყო თამარის და ამას ისინი როგორ გაუშვებდენ უპასუხოთ. და იშვა ულაზათო, ულოღიკო და ხეპრული ტაეპი რუსთველის «მარგალიტების» ალაგას.

როგორც ვთქვით, მთელი წინასიტყაობა წარმოადგენს პოეტის გეგმას, რომელიც შემდეგ პოემაში სისრულეში მოყავს. აქ ნაჩვენებია პოემის ყველა მთავარი ხაზი. ამ ჩვეულებას ის ვერ უღალატებდა მთავარ საკითხში—სიყვარულის ახსნა-განმარტებაში. მას არ შეეძლო არ ეთქვა, ის, რაც პოემაში მოგვცა, ხოლო აქ მოგვცა დიდებული ბრძოლა არა პლატონიური, არამედ ნამდვილი რომანიული სიყვარულისათვის. ეს იყო მთელი რევოლიუცია ლიტერატურაში და მისი საზოგადოებისათვის შეპარება მოითხოვდა სქელ დოლბანდს, ფართო ფანტასტიურ ფორმას, რომ შიგ ქართველები ვერ დაენახათ. პოემაში მართლაც ეს მან შესძლო, ვის რა ენაღვლებოდა არაბები და ინდოელების სიყვარული. მა-

გრამ იქ. სადაც კი უცხოელებზე ლაპარაკი არ იყო, სადაც თეორია იყო გატარებული, რომლითაც ქართველებსაც შეეძლოთ ეხელმძღვანელათ, და ეს მოხდა წინასიტყვაობაში. იქ კი მაშინვე მოსპეს ეს თეორია და მის ალაგას წამოასკუპეს სრულიად მოპირდაპირე აზრები.

ახლა გავშინჯოთ როგორ ახორციელებს ავტორი სიყვარულს სინამდვილეში, პოემაში. აქ მიჯნურობა წარმოდგენილია ორ სხვადასხვა ქვეყანაში: არაბეთში—თინათინ-ავთანდილისა, ინდოეთში--ტარიელ-ნესტანდარეჯანისა. ამით წინ გვეშლება სიყვარულის ორი ფორმით გამოსატულება: ნორმალური, უდავიდარაბოთ და უდრამოთ ჩატარებული და არა-ნორმალური, ბრძოლით და სისხლით მოკირწყლული. მიჯნურნი ცხოვრობენ სხვადასხვა საზოგადოებაში: ერთია უფრო ლიბერალური. პროგრესიული, მეორე კი ძველი ადათების მიმდევარი. ქალის ბორკილებში ჩაჭერის მოტრფიალენი. არაბი როსტევან და ინდოელი ფარსადან სრულიად სხვადასხვანაირად შეხვდენ მათი ქალიშვილების სიყვარულს. პირველის ვეზირები ეუბნებიან მეფეს: «ლეკვი ლომისა სწორია. ძუ იყოს თუნდა ხვადია», ქალის და კაცის გათანასწორება აშკარაა. ამიტომ მათგან მოსალოდნელი იყო თინათინის და ავთანდილის გრძნობათა პატივისცემა. და მართლაც, როგორც კი გაიგო მეფემ ტარიელისაგან ქალ-ვაჟთა სიყვარული მაშინვე კვერი დაჰკრა, ის უპასუხებს: «მე სიძესა ავთანდილის უკეთესსა ვპოებ ვერა» (1360). და ეს იმიტომ რომ მას სიყვარულზე საღი წარმოდგენა აქვს. ის ამბობს: «ბრძენსა უთქვამს სიყვარული, ბოლოდ მისი არ წახდომა» (1376). ე. ი. სიყვარულზე აგებული ურთიერთობა ბოლომდე მაგრათ დარჩებაო. ამ საერთო წესს ის ავრცელებს მის ქალიშვილზედაც, რომელიც იმავე დროს მეფეა და თავისი ქვეშევრდომი შეყვარებია. გამოდის რომ სიყვარულის წინაშე ყველა სხვა

მოსაზრება ქედს იხრის და ემორჩილება. ეს ძირბუდიანთ გადაბრუნებაა მთელი ანტიური და საშუალო საუკუნური წარმოდგენისა სიყვარულზე.

სამაგიეროთ ამ წარმოდგენას არ შორდება მეორე საზოგადოება. ინდოელთა მეფე და მისი ამალა. როგორც კი ფარსადან ნესტანდარეჯანის და ტარიელის დამოკიდებულებას გებულობს, ამბობს: «მათ ბოზ-კუროთა ასეთი რა მისცეს, რა უქადესა»; სიყვარული მისთვის გარყვნილებაა, ამას ის აწერს ქალიშვილის გლახათ აღზრდას. ის მოიძულებს აღმზრდელს, თავის დას დავარს, რომელსაც სიკვდილით ემუქრება: «აწ თავმან ჩემმან მას მოვკლავ, ჩემად დად ვინცა მადესა, მე ღვთისა უთ'ვარ, დაუბამს მას ეშმაკისა ბადესა» (484). ე. ი. სიყვარულის სათავეა ეშმაკი და არა ღმერთი. ამ აზრისაა მისი დაც, რომელიც უწმაწური სიტყვებით ლანძღავს ნესტანდარეჯანს: «ბოზო, შენ ბოზო, რად მომკალ, ვეჰვ, შენცა არა გლხენოდეს», რის შემდეგ «დაალება, დაალურჯა» და ბოლოს კიდევაც გადაჰკარგა (486-488).

ამ ორი მოწინააღმდეგე საზოგადოების ასე მკაფიოთ დახატვით რუსთაველი, რასაკვირველია, გვიხატავს ქართველთა იმ ორ ბანაკს, რომელნიც ერთმანეთს ხმლით დაერიენ თამარის ოჯახური მდგომარეობის ნიადაგზე. მისი იდეალია თინათინის საზოგადოება; თინათინობამდე მიაღწია თამარ მეფემ, მაგრამ მიაღწია ნესტანდარეჯანის გზით, ბრძოლით, გაბატონებულ ზნე-ჩვეულებათა გადალახვით.

ახლა ვიკითხოთ, ვინ არის ამ ბრძოლის მთავარი მატარებელი, ვის უჭირავს ხელში აჯანყების დროშა? კაცს, თუ ქალს? ამას ჩვენ გავიგებთ პოემის გმირთა შეფასებით.

პირველ ყოვლისა უნდა ვთქვათ, რომ რუსთველის აზრი სიყვარულზე სავსებით ორიგინალურია. ჩვეულებრივათ ამ გრძნობას ათავსებენ გულის სამეფოში. ის გულს იტაცებს.

რუსთველი კი მას აკუთნებს უმთავრესათ გოხებას. მიაჩნია გონების მოვლენათ. ტარიელი ასე ასწერს პირველ შეხვედრას ნესტანდარეჯანთან:

«ქალსა შევხედე. ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა» (266), ე. ი. სიყვარულის ძალა იპყრობს არა მარტო გულს, არამედ ცნობასაც. ის, ასე ვთქვათ, ინტელექტუალური მოვლენაა. ამავე აზრს იმეორებს ტარიელი, როცა მოსთქვამს: «ჰაი, საყვარელო ჩემო ჩემთვის დაკარგულო, იმედო და სიცოცხლეო, გონებაო, სულო, გულო» (234), აქაც გონება წინ უსწრებს სულსა და გულს. მაშასადამე, სიყვარული იპყრობს მთელ არსებას, ადამიანის ყველა ნიჭს, ის აზიანებს პირველ ყოვლისა გონებას, ამიტომ ის არის «შმაგობა», «ხელობა». მაგრამ საკვირველია ის, რომ ეს გრძნობა კაცის გონებას უფრო იმორჩილებს, ვინემ ქალისას; პირველი უფრო დალახვრულია, ვინემ მეორე. აქედან წარმოსდგება მათი პოზიცია რომანში: ქალი უწინამძღვრებს კაცს, ქალია მთავარი მებრძოლი, ნამდვილი გმირი, ინიციატორი.

საზოგადოთ, რუსთველი ქალს კაცზე მაღლა აყენებს ყველაფერში გარდა, რასაკვირველია, ფიზიკური სფეროისა. ყველა მისი ქალი კაცზე უფრო ჭკვიანია, უფრო მედგარია, ამტანია. აი მაგალითები. ტარიელის ნახვით დაღონებულ როსტევანს თინათინი ურჩევს: დააძებნიეთ ყოველგან და თუ ვერ ნახონ სჩანს ეშმაკი გვჩვენებიაო (73). მეფემ აასრულა ეს რჩევა და როცა აქედან არაფერი გამოვიდა, გამხიარულდა, მართლა ეშმაკი მომჩვენებიაო. მაგრამ თვით თინათინი ამ ცრუმორწუნეობას არ იზიარებს, ის მან მამის დასამშვიდებლათ გამოიგონა, ხოლო თვითონ კი იბარებს ჩუმად ავთანდილს და ტარიელის მონახვას ანდობს. თინათინ მთელი თავით მაღლა დგას ბრძენ როსტევანზე. ავთანდილის და ასმათის პირველი შეხვედრა. მათი დავა თავდება პირველის და-

მარცხებით, ის ქალის ლოღიკის და მოსაზრების წანაშე ფარ-
ხმალს ყრის (176). ტარიელი მოქმედობს ყოველგან ნესტან-
დარეჯანის გეგმით და ჩვენებით. თვით ფატმანიცკი, რომლის
სიყვარულის მაგალითით გვაჩვენა თუ რას ნიშნავს «სიძვა»,
მაღლა დგას მის ქმარ უსენზე. პოეტი მას უწოდებს «დი-
აცს», რომელსაც სამალავი არ ეთქმის, მაგრამ უსენი კიდევ
უფრო ყბედი და ფიცის გამტეხი გამოჩნდა, მან გაამხილა სა-
ასასლეში ფატმანის საიდუმლოება ნესტანდარეჯანის მის სა-
ხლში ყოფნაზე. მთელი პოემა ქალის აპოთეოზია.

რაკი ქალს ასეთი უპირატესობა ენიჭება, ინიციატივაც
მას ეკუთვნის სიყვარულში. ის უმეღავნებს ამ გრძნო-
ბას ვაჟს: თინათინ ავთანდილს, ნესტანდარეჯანი ტარი-
ელს. რა სახით? პლატონიურით? სრულიადაც არა, აქ ლაპა-
რაკია არა სულიერ სიყვარულზე, არამედ ნამდვილზე, ცოლ-
ქმრობაზე. პლატონიური პერიოდი, «პირველ მიჯნურობა»,
როცა ორივე მხარე თავის გრძნობას გულში იმარხავდა, და-
რულდა ერთმანეთის წინაშე გამეღვანებით. ეს პლატონიური
პერიოდი აშკარათ ნაჩვენებია. ავთანდილს «გულსა მისსა მი-
ჯნურობა მისი ჰქონდა დამალულათ» (10). მან ეს არ გაანდო
თავის უახლოეს მეგობარს, შერმადინსაც კი: ამიტომ ის ბო-
დიშსაც კი უხდის მას: «ჰა შერმანდინ, ამად მე შენგან მრცხვე-
ნიან, ჩემნი საქმენი ყველანი გცოდნიან, გაგივლენიან, მაგრა არ
იცი აქამდის, რანიცა ცრემლნი მდენიან»... (103). თინათინი
რაღაც ნაირათ გებულობს ავთანდილის ამ საიდუმლოებას,
ის იწყებს გამეღვანებას ამ სიტყვებით: «შორით სიყვარული
შენგან ჩემი შემიტყვია, ვიცი რომე განუწყვეტლათ თვალ-
თათ ღაწვი გისეტყვია, შეუპყრიხარ სიყვარულსა, გული შე-
ნი დაუპყრია» (84). მაგრამ მაშინვე უხსნის მას სიყვარულის
მიზანს: «ფიცით გითხრობ, შენგან კიდო თუ შევირთო რაცა
ქმარი» (88): მიზანია ცოლ-ქმრობა. პლატონიზმი უარყოფი-

ლია. ამავე ხაზით მიმდინარეობს ნესტანდარეჯანის და ტარიელის რომანიც. ქალი პირველსავე წერილში აცნობს ტარიელს: «მე შენი ვარ, ნუ მოკვდები, მაგრამ ბნედა ცუდი მძულსა»... «შენგან ჩემისა ქმრობისა წინასაც ვიყავ მდომია» (292. 294). აქაც სიყვარული ხდება საფუძვლად ცოლ-ქმრობისა, ოჯახისა და არა «სიძვისა», როგორც ეს მაშინდელ რომანებში იწერებოდა და არც პლატონიზმისა და ქალის კულტისა, რასაც რაინდები ეტრფოდენ.

ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია, იმას რომ რუსთველი სავსებით თავისუფალია რაინდული გაგებისაგან. მან ერთი, ყველაზე უფრო საღი და მოსაწონი თვისება პლატონიზმისა, მიიღო და კიდევაც გვაჩვენა. ნესტანდარეჯანი სიყვარულს რაინდულ მიზანს უსახავს. ის სწერს ტარიელს:

«ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გგონია?

«სჯობს, საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია»...(293) და ისტუმრებს ხატაელთა წინააღმდეგ საომრათ.

აგრეთვე თინათინ. ისტუმრებს რა ავთანდილს სამი წლის ვადით ტარიელის საძებრათ. ეუბნება:

«შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე» (86).

აი ახირებული ფორმა სიყვარულისა! არც წინეთ, არც ახლა შეყვარებული ასეთ წინადადებას არ აძლევს თავის ტრფიალების საგანს. პირიქით, ქალი კაცს ეუბნება—ოღონდ მე გიყვარდე, ჩემთან იყო, თუნდაც ქვეყანა დაინგრესო: ის მას «საგმირო საქმეებისათვის» არ იმეტებს, ომიდან, თუ შესძლო, აბრუნებს, თავ-დადებას უკრძალავს, ერთი სიტყვით აგლახებს. რაინდობის ხანაში კი მიღებული იყო სიყვარულის დამტკიცება «საგმირო საქმეებით»: მაგრამ ვინაიდან თვით სიყვარული იყო სულიერი, პლატონიური, ამიტომ კაცის გაგზავნა ხიფათში ადვილი გადასაწყვეტი იყო ქალისათვის: ამით მისი ოჯახური და საზოგადოებრივი მდგომარეობა არა-

ვითარ ხიფათს არ განიცდიდა. საქმროს ასე გამეტებაკი დიდი გმირობაა, მართლა თავის დადებაა და ამიტომ ასეთი ქალი იშვიათი მოვლენაა. ამგვარი ტიპები შეგხვდებათ ტურგენევის და სენკევიჩის რომანებში, რევოლიუციურ ახალგაზდობაში, მაგრამ ეს გამონაკლისია. მაშასადამე რუსთველური სიყვარული არ არის ეგოისტური სიყვარული. პირადი გრძნობით და ცხოვრებით შემოფარგლული. აქ პირადი და საზოგადოებრივი მოტივები ერთდება, ერთი მთელი ხდება. სიყვარული მტკიცდება საქმით, მოღვაწეობით საზოგადოების სასარგებლოთ. რუსთველის ორივე გმირი იმარჯვებს. ტარიელი ამარცხებს ხატაველთ, ავთანდილი ეხმარება ტარიელს და ანგრევენ ქაჯეთის ციხეს.

არის ოთხნაირი სიყვარული: ფიზიკური, პლატონიური (რაინდული), ეგოისტური (ბურჟუაზიული) და ალტრუისტული. რუსთველისაა ეს უკანასკნელი. რუსთველური მიჯნურია მხოლოდ ის, ვინც საყვარლისაგან ითხოვს სხვისთვის თავის დადებას...

რაკი პოეტი ქალს კაცზე მაღლა აყენებს საზოგადოთ, ამიტომ პოემაში ქალი თამაშობს აქტიურ როლს, კაცი კი უფრო პასიურს. სიყვარულის ურთიერთისადმი გამომჟღავნებით იწყება ნამდვილი რომანი ყველა თავისი თვისებებით— საიდუმლოებით, პაემანით, საარ'მიყო მიწერ-მოწერით და სხ. ქალი ინიციატორია. მარა ამავე დროს მეტათ მორცხვია; პირველი პაემანი ნესტანდარეჯანის და ტარიელისა თავდება უსიტყვოთ, ვინაიდან ქალს «სირცხვილი აქვს საუბრისა»; მეორე პაემანი თავდება ფიცით ერთგულებაზე, ე. ი. ცოლქმრობაზე. შეადარეთ მათი მიწერ-მოწერა ერთმანერთს და ნახავთ, რამდენათ ქალი გონიერია, დინჯია, ხოლო კაცი ატეხილია, აზრს მოკლებულია (296), მას არავითარი გეგმა თავში არ აქვს. მას ქალი უკარნახებს ასმათის პირით კავშირის სა-

შუალებებს (298). მაგრამ ჩქარა გამოჩნდა, რომ სიყვარულს ქალი უფრო სერიოზულათ უყურებს, ვინემ კაცი. ნესტანდარეჯანი მართლა მებრძოლია ახალი დროშის ქვეშ. ტარიელი კი შეპყრობილია ძველი ადათ-ჩვეულებებით. ქალის გათხოვება ჩვეულებისამებრ გადასწყვიტა დედ-მამამ თათბირზე, რასაც ტარიელიც დაესწრო და მიემოწმა. ის არც ცდილა შებრძოლებას, უბრალო რჩევაც კი არ მიუცია—ქალსაც შეეკითხეთო. ის იმდენათ დამორჩილებულია ტრადიციით, რომ მეფის განაჩენი ბუნებრივათ მიაჩნია; შემდეგ ბურთაობაშიაც კი შედის. «მე მაშვრალი, ნაბურთალი, საწოლს შეველ მოსვენებათ» (427). მან არ იცის რა ქნას. ამ კრიტიკულ მომენტში ჩნდება ისევ ქალი და მას იბარებს. შეხვედრა დრამატიულია. ქალმა საქმროს ქცევა დააფასა სრულიად საღათ, ღალატათ და ორპირობათ:

«მიკვირს რად მოხველ მშლელი პირისა მტკიცისა,
გამწირავი და მუსთალი, შენ, გამტეხელი ფიცისა» (434).

კაცის გაკვირვებაზე ის უხსნის:

«შენ არ იცი ხვარაზმშასი საქმროდ ჩემად მოყვანება?
შენ ჯდომილხარ სავაზიროთ, შენი რთულა ამას ნება.
შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება,
ღმერთმან ქნას და დაგარჩინო ცუდად შენი ხელოვნება» (436).

ამის შემდეგ ის გვეელინება სახელმწიფო მოღვაწეთ, პრეტენზიას აცხადებს ტახტზე, ინდოეთის პატრონი მე ვარო (438). ამიტომ «ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო; თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჰყო!» (439); ეს აშკარა მუქარაა სამშობლოდან გაძევების, და თუ არ წავა, სიკვდილით დასჯის! ტარიელი თავს იმართლებს. დროებით მიევემოწმეო. ბოლოს შერიგდებიან და აწყობენ მოქმედების გეგმას. აქაც ქალი პირველობს. ყველა წინადადებას ის იძლევა, თვითეულს არჩევს და ბოლოს ერთზე ჩერდება,

ტარიელი მხოლოდ მას ემოწმება. ნაჩვენებია სამი გამოსავალი: პირველი, სასიძო არ მოუშვათ; ეს მიუღებელია სახელმწიფო ინტერესებით, ვინაიდან, «ვა თუ მეფე გაგიმწარდეს, შენ და ისი წაიკიდნეთ, ინდოეთი გარდაქარდეს»; მეორე, «კვლავ თუ სიძე შემოუშვა, მე შემირთოს, იყოს ასდენ, ერთმანერთსა გაეეყარნეთ»; ეგეც მიუღებელია, ვინაიდან ეს გამოიწვევს ომს ორ სახელმწიფოთა შორის და «ჩვენ პატიჟნი გაგვიასდენ». ეს თამარისებური გზა უარყოფილია. ტარიელი ფიქრობს, შემოუშვათ, მე შეებრძოლები და «ესრე დავხოცნე, შეეძლოს აღარის არ-სახმარობა». ქალი ომის თანახმა არ არის: «დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ, ვერ ვიქნები შუა კედლად». მოკალი მარტო სიძე, მის ჯარს ხელს ნუ ახლებო, «რა მოვიდეს, სიძე მოჰკალ, მათთა სპათა აუწყვეტლად». ამის შემდეგ მამას გამოუცხადე, რომ ინდოეთი შენია, სოლო ქალი სადაც გინდა იქ გაათხოვეო. მაშინ თვით მეფე შემოგეხვეწება და ჩემს თავს მოგცემს ცოლათო. ტარიელს ეს მოეწონა, «ესე მეტად მომეწონა თათბირი და გამორჩევა» (450-456).

ამნაირათ, მთელი მოქმედების სადავე ხელთ უპყრია ნესტანდარეჯანს. გადაწყდა სასიძოს მოკვლა, მაგრამ როგორ? რაინდულად თუ ავაზაკურათ? ქალი ამის დირექტივას არ იძლევა: მისი გეგმის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ მას სახეში ქონდა ოაინდული სიკვდილი, ე. ი. დუელი; მხოლოდ ამ შემთხვევაში იყო შესაძლებელი სპა საქმეში არ ჩარეულიყო, და ყოველივე თათბირისამებრ დაბოლოებულიყო. ყოველივე სხვანაირი სიკვდილი ქვეყანას არევდა, რასაც ასე უფრთხოდა ნესტანდარეჯანი.

სიძე მოვიდა, ტარიელი მხურვალე მონაწილეობას იღებს მის მიღებაში. უდგამს ატლასის კარვებს. ქალს კიდევ ეპვი შესდის მასში და იბარებს: «რასა სდგი, დღე მიგიჩნს წინ საომარე, ანუ გამწირე, მიტყუვე და კვლავცა მოიმცდომარე?»

ტარიელს ეწყინა, უსიტყვოთ გამობრუნდა. «ქალი ომსა როგორ მაწვევს. აგრე ვითა დავძაბუნდი!», ამბობს ის და უცებ კარგავს სულიერ წონასწორობას. მიდის და მძინარე სასიძოს ავაზაკურათ კლავს! ამით ის საესებით არღვევს მიღებულ რაინდულ წესებს. ხატაელებსაც კი აფრთხილებდა: «ზედა არ მოგეპარებით», აქ კი ერთ კაცს მიეპარა! აქვს მ.ს გასამართლებელი საბუთი? აქვს, თუ მივიღებთ სახეში ფსიხოლოგიურ მომენტს. როგორც ზემოთ ვთქვით, კაცი საესებით დაპყრობილია ქალის მიერ, ის მართლა «ხელია», საკუთარი ნების ყოფა დაკარგული აქვს; ის თავიდანვე ყოყმანობს, მხოლოდ იმიტომ რომ საკმაოთ გაჟღენთილია ძველი ადათებით; ის ფეხს ითრევს. ქალის სიყვარულს და მეფის სურვილს შორის იხლართება, გმირი სათრეევი ხდება. რაკი მან გარკვეული დირექტივა ქალისაგან ვერ მიიღო და დარჩა თავის ამარათ მიშვებული, დაიბნა, და «მოყმეთა» ეთიკას გადააბიჯა. ამით ნესტანდარეჯანის მთელი გეგმა დაირღვა და სახელმწიფო აირია.

დრამის კვანძი ისკვნება და იხსნება ერთი და იმავე აქტით—ტერორით; ტარიელი კლავს ხვარაზმშას. ავთანდილი—ჩაჩნაგირს. თუ პირველი აქტი ბუნებრივია, ფსიხოლოგიურათ გამართლებელია, სამაგიეროთ მეორე სრულიად არაბუნებრივია და არც რაიმე საბუთია მის გასამართლებლათ. ავთანდილს არ უყვარს ფატმანი, რომ მან იმისი ბრძანება განუკითხავათ აასრულოს. მან არც ის იცის, თუ ამ ამბის შემდეგ რა ცნობას მიიღებს ფატმანისაგან, მაშასადამე არც ეს სტიმული არსებობს მისთვის. გამოდის რომ ქალს ისეთი ძალა აქვს კაცზე, იმდენათ იმონებს მას, რომ მის სურვილს განუსჯელათ ემორჩილება. ყოველ შემთხვევაში, ერთად-ერთი სუსტი ადგილი, ხელოვნურის თვალსაზრისით გაუმართლებელი მთელს პოემაში—აი ეს ეპიზოდია. აქ ეტყობა აჩქარება, კვანძის გახსნის არ დაყოვნება.

აქედან აშკარაა, რომ პოემის მთავარი გმირია არა ტარიელი, არამედ ნესტანდარეჯანი. ქალის ასე მაღლა აწევა სავსებით შეეფერება ავტორის შეხედულებას, თუ სახეში მივიღებთ იმ მოდელს, საიდანაც ის პორტრეტს სწერდა და ვისაც აქებდა. თამარი უეჭველია ჩვენი ისტორიის გმირია, უმაღლესი მორალური პიროვნებაა (ამას ქვემოთ დავინახავთ) და მისი გონება და ზნეობა პოეტს არ შეეძლო არ გაენაწილებია ნესტანდარეჯანისათვის. დააკვირდით ამ ქალიშვილს, რა დიდ გასაჭირშია: როგორ გადადის ხელიდან ხელში, როგორ ვარდება ერთი განსაცდელიდან მეორეში; მასთან შედარებით ტარიელი განცხრომაშია. მას ტანჯავს მხოლოდ საყვარლის უნახაობა. ეს მორალური მწუხარებაა, მაგრამ არავითარი საშიშროება არ მოელის მის მორალს, მის ერთგულებას საცოლოსადმი. პლატონიური ან ფიზიკური სიყვარულის თვალსაზრისით ნესტანდარეჯანს ჩინებული გამოსავალი ქონდა. მას უყვარს ტარიელი მხოლოდ სულიერათ, ან და ის თხოვდება, ხოლო საყვარლათ ტარიელს იყენებს, ვისის და იზოლდასავით. ორივე ეს კარი მისთვის დახშულია. მისი სიყვარული რომანიულია, ორ არსებათა მორალური კავშირია, რომლის გარღვევა შეუძლებელია. ამ სიყვარულის მთავარი ნიშანი ერთგულებაა. წაიკითხეთ მისი წერილი ქაჯეთის ციხიდან საყვარელთან მიწერილი. განა ოდესმე ვინმე ქალს დაუწერია უმშვენიერესი! რამდენი ეკვა, სიბრძნე, გაბედულება, ერთგულება და სიყვარულია ამ პატარა ბარათში!

«შენმან მზემან უშენოსა არვის მიხვდეს მთვარე შენი,
«შენმან მზემან ვერვის მიხვდეს, მოცავიდენ სამნი მზენი,
«აქა თაკსა გადავიქცევ, ახლოს მახლავნ დიდი კლდენი».

აი თავდადებული ერთგულება! თავს მოიკლავს და ტარიელს კი არ უღალატებს.

«მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რადგან სულსა,

«მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე ჩამრჩა გულსა».

მიუხედავათ ასეთი უბედურობისა, ის ტარიელს თავისკენ არ იბარებს, არ ემუდარება ცრემლებით, მოდი. და მიხსენიო, ის კვლავ ფიქრობს თვით ტარიელის სიცოცხლეზე და სამშობლოზე. ტარიელი ქაჯეთს ვერ დაამარცხებს, თვით გახდება ქაჯთა სხვერპლი. ამიტომ ქალი ეხვეწება, არ გაბედო აქეთ წამოსვლა:

«შენ კვდარსა გნახავ. დავიწვი, ვითა აბედი კვესითა,
მოგშორდი, დამთმე გულითა კლდისაცა უმაგრესითა.»

შემდეგ ურჩევს:

«წადი, ინდოეთს მიმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა ყოველგნით ხელ-აღუპყრობელსა».

მთელი წერილი მართლაც «მსმენელთა გულის გასაგმირალია» (1149-1164). რუსთაველმა შექსპირზე ოთხი საუკუნით ადრე მოგვცა რომეო და ჯულიეტა.

ეს ახალგაზდა ულამაზესი ქალიშვილი ამდენს სიფათში გაბმული თავის ბედს იტანს დიდის ენერგიით, მტკიცე ნების ყოფით. ვაქკაცურათ. მას «თავი მუდამ თან ახლავს». მან არ იცის სულიერი წაბორძიკება, სასოწარკვეთილება. ის ამბობს:

«სიკვდილამდე ვის მოუკლავს, თავი კაცსა მეცნიერსა,
რა მისჭირდეს მაშინ უნდა გონებანი გონიერსა» (1052).

ან და: «კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს. ავი რა საკვირველია, სხვა და სხვა ჭირი ჩემსედა არ ახალია, ძველია (1036).

და ეს მისთვის ფრაზა კი არ არის. ეს ცოცხალი სინამდვილეა. როგორ შეხვდა ის ისეთ საფრთხეს როგორიცაა უსენის მიერ მისი სასახლეში გამეღავნება და მეფისაგან მისი გამოთხოვა? მეტათ მამაცურათ.

«თვალთა ვითა მარგალიტი გადმოყარა ცრემლი ხშირი.
ადგა ასრე გულუმშრალად, ვეფხი იყო ანუ გმირი.
ლხინი ლხინად არა უჩნდა, მართ აგრეთვე ჭირად ჭირი» (1037).

გაჭირება მას ზრდის, ასალკლდეევებს, ვეფხათ აქცევს. როცა ის მეფეს გაექცა, მარტოთ, კაცურათ ჩაცმული და ცხენით მიმავალი ქაჯეთის ჯარს შეეხეჩა, შიშს არ განიცდის. თავს ხელმწიფის შიკრიკათ აცხადებს და მათ უტევს: გზა მომეცითო:

«ვინ ხართ ცხენოსანნო, თქვენ სახელი თქვენის თქვენით,
გულანშაროთ მოციქული, ქაჯეთს მივალ, მერიდენით» (1088).

ერთი სიტყვით, არც ერთ მომენტში ის სულიერ წონასწორობას არ კარგავს; ის დასრულებული ტიპია მებრძოლის; პოეტმა მოგვცა წარმტაცი იდეალი ქალის სახით; ის საქართველოს ტანჯვა-წვალების, მისი მუდმივი ბრძოლის და საშიშროების გამომხატველი ლამპარია. პოეტი ამ სურათით გვეუბნება—ნუ დაეცემით, იბრძოლეთ და გაიმარჯვებთო!

აი როგორ აქო რუსთველმა თამარი «შეფარვით». უკეთესი ქება წარმოუდგენელია. მაგრამ ამ ტიპში, უეჭველია, მარტო თამარი არ იგულისხმება, აქ არის ქალების მთელი წყება მის ირგვლივ თავმოყრილი და მისი თანამშრომელნი. იმ დროს ქალები, საზოგადოთ, დიდ როლს თამაშობდენ სახელმწიფოში. საკმარისია გავიხსენოთ რამდენიმე მაგალითი ისტორიიდან. /თამარ-მეფის წინააღმდეგ აჯანყებული აზნაურები დაამშვიდა და მორჩილებაში მოიყვანა თამარის მოციქულ ორ დარბაისელ მანდილოსანმა./ ამათ წინაშე აჯანყებული მამაკაცები იარაღს ყრიან! ან და როცა გამარჯვებულ ლაშქარს ტყვე მაჰმადიანები მათ დასამცირებლათ გატიტვლებული მოყავს, ქართველი ქალები პროტესტს აცხადებენ და ტყვეებისათვის ტანისამოსის დაბრუნებას მოითხოვენ. ლაშქარი ემორჩილება და სხ. ასე რომ რუსთველს ყველა საბუთი ქონდა მორალური სიმაგრე ქართველ ქალში დაესახა, ხოლო ფიზიკური, მხედრული, ქართველ კაცში.

როგორც ხედავთ ახალგაზდა თამარის (17 წლის) მიერ კრების წინაშე წარმოთქმული სიტყვა ცოლ-ქმრობაზე გადა-

იქცა რუსთველის კალმით მთელ რომანათ. მისი შემოქმედების წყაროთ. მისი პოეზიის ჩირაღდნათ. პოეტმა მას მისცა საერთო, სამარადისო ხასიათი და დასახა საზოგადოების იდეალათ. «ვეფხის-ტყაოსანი» პირველი თანამედროვე რომანია მსოფლიო ლიტერატურაში. პირველათ რუსთაველმა ღახატა ქალი მებრძოლი თავისუფლებისათვის, თავისი გულის, სულის და სხეულის პატრონობისათვის. რუსთველამდე ქალს ათხოვებენ, რუსთველიდან ის თხოვდება თვითონ, თავისი ნებით და ამორჩევით.

პოეტი მარტო ამ იდეალის დახატვით რომ დაკმაყოფილებულიყო, ის მაინც დარჩებოდა უდიდეს მგოსნათ, სიყვარულის პირველ მომღერლათ. მაგრამ ამ საამო სიმღერაში მან ჩააქსოვა ცხოვრების ყველა ძირითადი მხარეები, მან სთქვა თავისი აზრი პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ პრობლემაზე. მას არ დარჩენია არც ერთი მთავარი საკითხი საზოგადოების ურთიერთობისა გაუნათებელი, პოეზიის შუქში გაუტარებელი.

პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობა.

რუსთაველის მიერ დახატული საზოგადოება აშენებულია შემდეგნაირათ:

მაღლა დგას მეფე. მის ქვემოთ ვეზირები და დიდებულები. შემდეგ მოდის სპა, ანუ ლაშქარი, მიწის მუშაკნი, და ვაჭრები, ხოლო სულ დაბლა მონები.

განვიხილოთ ეს სოციალური წრეები ცალ-ცალკე.

როგორია მეფე?რა ძალა და გავლენა აქვს მას?

რუსთველის მეფე სრულიად არ გავს ფეოდალურ მეფეს. ის არ არის პირველი თანასწორთა შორის. პირიქით, მისი სწორი არავინაა. მისი ძალა უსაზღვროა, მისი წარმოშობა ღვთაებრივია. ავთანდილ როსტევანს უწოდებს «ღვთის სწორს» (738), «ვინცა მოკვდეს მეფეთათვის სულნი მათნი ზეცად რბიან» (354); მეფეა მთელი ქვეყნის თვითმპყრობელი (236). მცირე ძალის პატრონი მეფე, სარიდან, უარს ამბობს თავის ტახტზე დიდი მეფის ფარსადანის სასარგებლოთ, რომლის მოხელეთ, ამირბარათ, ის ხდება. ამ წესით მოხდა ქვეყნის გაერთიანება, ერთი მეფობის დამკვიდრება. ერთი ხალხი—ერთი ©ეფე პოლიტიკური იდეალია, მეფის სურვილი კანონია. მას ვერავინ დაუდგება წინ; როსტევან ემუქრება თავის ვეზირს: «თავმან ჩემმან თავსა მოგკვეთ, არრად უნდა ამას ცილი» (646).

ერთი სიტყვით, რუსთაველის მეფე არის თვიმპყრობელი, ობსოლიუტისტი, რომელსაც მორჩილებს ყველა კლასი, მთელი ერი.

ამ დიდ ძალას ის ხმარობს ხალხის სასარგებლოთ. მეფე არის «მაღალი, უხვი, მდაბალი». «მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი» (1). ის ეხმარება გაჭირვე-

რებულთ და დავრდომილთ, ებრძის სიავეს და ბოროტებას. აწარმოებს ფართე ქველმოქმედებას. ის არის «გონიერი. გული ლბილი» (99). ასეთი მეფის ქვეშევრდომნი ბედნიერნი არიან. ვინაიდან მეფე

«ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვებს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს.
ავის მქნელნი დააშინეს, კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს.
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდეს»
(1426).

ამ ნაირად, პოეტის იდეალია მეფე თვითმპყრობელი. მეფე რეფორმატორი, მეფე მოსიყვარულე და სამართლის მომხიბეელი.

საიდან აიღო პოეტმა ეს სურათი, რათ დასჭირდა ამ იდეალის დახატვა? საკმარისია გავიცნოთ მაშინდელი საქართველოს შინაგანი პოლიტიკური მდგომარეობა, თამარ მეფის მოღვაწეობა, რომ სწორი პასუხი ვიპოვოთ.

თამარის მეფობა დაიწყო დიდი შინაგანი კონფლიქტით. დავით აღმაშენებელის მიერ დაწყებული ქვეყნის გაერთიანება, მრავალმეფიანობის და აზნაურობის თავგასულობის მოსპობა საბოლოოთ დასრულდა თამარის მამის გიორგის მეფობაში. მაგრამ როგორც კი გიორგი გარდაიცვალა და ტახტზე 17 წლის ქალიშვილი დაინახეს, ჭ დიდ-გვარიანი აზნაურნი აჯანყდენ და მეფე-ქალს ულტიმატუმი წაუყენეს: ძალა უფლება გადმოგვეცით. «ქართლის ცხოვრების» აწერილობით მათ ერთმანეთს შეფიცეს: «გვარიანნი და თვით მსახურეულნი სახლნი უპატიოთ და უსახოდ განსულვართ უ,ვარ.თა და უხამთაგან» და მოითხოვეს მეფის სასახლის კვერდით დადგმა მეორე სასახლისა, სადაც ისინი დაჯდებიან «თავის უფლებით მსხდომარენი, რათა მივეემდეთ და მოვიღებდეთ, რომელთამე ვრისხავდეთ და რომელთამე ვწყალობდეთ:

ამას ესრეთ ვაკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს მეფესა და დედოფალსა და მუნღა სრულ იქნებოდეს განგებული ჩვენნი» (გვ. 281). აქედან მათი მოთხოვნილება ნათელია: მთელი კანონმდებლობის და მართველობის გადაცემა მათთვის; მეფეს რჩებოდა მხოლოდ მათი გადაწყვეტილების დამტკიცება! მიზანი ამ ცვლილებისა იყო დიდგვარიანთა გაძლიერება, მათი ავტორიტეტის ამაღლება, რაიცა თურმე «უგვაროებს» შეუვიწროებიათ. აქ სჩანს პირველი ნაბიჯი პარლამენტალური წესისა, როგორც შემდეგ ინგლისში დაიწყო. მაგრამ საქართველოს სინამდვილეში ის გადიქცეოდა არა პარლამენტის, არამედ ფეოდალიზმის ბერკეტათ. ყოველ შემთხვევაში წამოყენებული მოთხოვნილება კი პარლამენტალური წყობილების პირველი ამოძახილია და საკვირველია რომ ეს ამოძახილი პირველათ საქართველოში გაისმა. დასავლეთში საერო კრებები ხშირად იმართებოდა. მაგრამ ყოველთვის სათათბირო მნიშვნელობა ქონდა და არსად ის უფლებისათვის ბრძოლად არ გადაქცეულა.

აი ამ დიდ პოლიტიკურ დავაში ერევა რუსთაველი და დგება თამარის მხარეზე. ის უეჭველია ამ საქმეში პირად მონაწილეობასაც იღებდა და აჯანყებულთ ებრძოდა. აჯანყების ჩაქრობა საკმარისი არ იყო. საჭირო გახდა მეფის უფლების ხალხში გამაგრება იდეურათაც. მან პირველათ წამოაყენა ლიტერატურაში თვითმპყრობელობის თეორია და აღჭურვა წარმტაცი თვისებებით. ამავე დროს ამავე თეორიას ჩვენ ვხედავთ «ქართლის ცხოვრება»-შიაც. ისტორიკოსი ერთ ადგილას სწერს: მტერნი «გააქცივნეს, ამოსწყვიდნეს და მოიღეს არმაღანი წინაშე თვითმპყრობელისა» ე. ი. თამარისა (გვ.287). საზოგადოთ სიტყვა თვითმპყრობელი მეფის აღსანიშნავად ხშირად იხმარება იმ დროს. ეს ტერმინი დაუპირდაპირეს აჯანყებულ დიდგვარიანთა ტერმინს «თავის უფლებითა».

როგორც ხედავთ, პოეტი და მემატიანე ერთხაირი ტერმინებით იცავენ მეფის უფლებას და მით ადიდებენ თამარს. საიდან გადმოხატა პოეტმა მეფე-რეფორმატორის სურათი? ეს სურათი მას თვალწინ ქონდა, თამარის საქმეები იძლეოდა ამ შთაგონების მდიდარ წყაროს. თამარმა პირველათ გააუქმა საქართველოში სიკვდილით დასჯა, ასოების მოკვეთა, თვალების დათხრა და სხვა. «შორს იყო ყოვლისა მესისხლეობისა, თვალთა დაბნელებისა და ასოთ ამოღებისა» (გვ. 283). ასეთი რადიკალური რეფორმა სისხლის სამართლის კოდექსში, რასაკვირველია, დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა პოეტზე. თამარის ქველმოქმედება ხომ მეტად განთქმული იყო, ისტორიკოსი მას ხშირად ასწერს. მისი სიტყვით, თამარმა «დაიდვა გულსა თვისსა ვითარ დასაბამი იგი სიბრძნისა შიში უფლისა, და სამართალი და წყალობა სწორად ყოველთა ზედა» და სხვა (გვ. 324); აქ ნახმარია რუსთაველური ტერმინოლოგია: «[illegible] ვითა თოვლსა მოათოვდეს». პოეტი და ისტორიკოსი ძალიან ხშირად ერთნაირი ენით ლაპარაკობენ. ამ პირად მეფურ სიუხვეს ზედ ერთვის სახელმწიფო ქველმოქმედება, რომელიც იმ დროს მთელ დაწესებულებათ გადაქცეულა. ჯავახიშვილის გამოკვლევით, თამარის დროს კანონი ყოფილა, რომლის ძალით მთელი საშინაო და საგარეო შემოსავლის ათისთავი ქველმოქმედებაზე იხარჯებოდა (იხ. მისი ისტორია, ტ. II, გვ. 648). ამ მიზნით დაუარსებიათ მთელი უწყება საგანგებო მოხელეებით.

და სწორედ ისე, როგორც ინდოეთში ტარიელის და ნესტანდარეჯანის წყალობით «თხა და მგელი ერთად ძოვდენ», საქართველოშიაც თამარის ისტორიკოსი ასეთივე პოეტური ფანტაზიით აგვიწერს საერთო კეთილდღეობას. ის სწერს: «და სიტყვისაებრ წინასწარმეტყველისა, ერთბაშად

მოვიდეს ლომი და ხარი, და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა და მგელი ცხვართა თანა და განდიდნა სახელი თამარისა ყოველსა ზედა პირისა ქვეყნისასა» (ვ. 297). ეს გასაშტერებელი ერთიგივეობა არა თუ ახრის, არამედ სტილის, გამოთქმისა მოწმობს ორში ერთს: ან მატიანე რუსთველის სელმძღვანელობით და რედაქციით არის დაწერილი, ან და თვით ის ხელმძღვანელობდა უკვე დაწერილი მატიანეთი.

ერთი სიტყვით, რუსთველის მიერ აწერილი არაბეთის და ინდოეთის მეფენი და მათი საქმენი შეიცავენ საქართველოს სახელმწიფოს სინამდვილეს, როგორც ეს მაშინ თამარის თაყვანისმცემელთ და თანამშრომელთ ესმოდათ. ეგევე ითქმის პოეტის ყველა დანარჩენ აწერილობაზე.

მეფე თვითმპყრობელი, პოეტის აწერით, თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკას ატარებს დიდებულთა საშვალებით. ეს წრე შეიცავს, პირველ ყოვლისა, ვეზირებს. თინათინის გამეფება ვეზირთა თათბირზე გადაწყდა. შემდეგ მოდის სპასპეტები ანუ ჯარის უფროსები: სვარაზმშას სიძეთ მიყვანა გადაწყდა ჯართა უფროსის ტარიელის მონაწილეობით. ავთანდილ იყო «სპასპეტი, ლაშქრისა ბევრ ათასისა» (13). ხოლო ტარიელს ეპირა ამირბარობა და ამირსპასალარობა. ე. ი. ყოფილა მთელი ლაშქარის სარდალი. მას თვითონაც ყავს დიდებულები, რომელნიც ახლდენ ხატაეთის ომში და მათ ეთათბირება. ესენი მისი ჯარის უფროსებია. დიდებულთა შორის პოეტს არ ყავს მოხსენებული არც ერთი სასულიერო პირი. საზოგადოთ, რუსთაველის დიდებული უეკველათ რაიმე დიდი თანამდებობის პირია.

ახლა თუ გავსინჯავთ ისტორიას დავინახავთ, რომ საქართველოში, განსაკუთრებით თამარის დროს და წინ, დიდებულობა რუსთაველურად არის წარმოდგენილი. ჯავახიშვილის გამოკვლევით «დიდება» ძველად თანამდებობასა და თა-

ნამდებობაზე დაფუძნებულ პატივს ნიშნავდა... დიდებული იმავე დროს დიდი მოხელე იქნებოდა». (იხ. მისი ქართული სამართლის ისტორია ტ. 1). რადგანაც მოხელენი უმთავრესათ აზნაურებისაგან იკრიბებოდა, ცხადია დიდებული იმავე დროს აზნაურიც იქნებოდა. აღსანიშნავია ის, რომ პოეტი სრულიად არ სცნობს ამ წოდებას, მას არ იხსენიებს არსად, მისი იდეალია მოხელეობა, სახელმწიფოს სამსახური და არა გვარიშვილობა. ეს შეხედულება საკუთარი უდგება მის პოლიტიკურ კონცეპციას. სასულიერო პირთა დიდებულთა წრიდან გამორიცხვა შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. «ქართლის ცხოვრება»-ს სიტყვით «შეკრბეს ყველანი იმის სამეფოსა დიდებულნი, სპასალარნი და ერისთავნი, წინაშე პატრიარქისა და ეფისკოპოზთა და მოახსენეს მათ» (გვ. 284), აქედან ცხადია, დიდებულნი ყოფილან უმაღლესი მოხელენი, მეფის მიერ დანიშნულნი. ჯარის უფროსნი და ერისთავნი, ხოლო უმაღლესი სასულიერო პირნი, როგორც მეფის მიერ არ დანიშნულნი და არც სახელმწიფო სამსახურში მყოფნი, დიდებულთაგან გამოყოფილი არიან.

რუსთაველი არ ხმარობს სიტყვა «აზნაურს», ხმარობს «თავადს», მაგრამ არა იმ მნიშვნელობით, როგორც ახლა იხმარება. მისთვის თავადი ნიშნავს არა წოდებრივობას, დიდგვარიანობას, არამედ მეთაურობას, წინამძღოლობას, აკუთანდილ ეუბნება შერმადინს: «ჩემ წილ დაგაგდებ პატრონად, თავადათ ჩემთა სპათასა» (106), ან და «სასლი ჩემი შეინახე, სპათა ჩემთა ეთავადე» (664). თავადი შეიძლება იყოს მონაც, თუ ის ვინმეს მეთაურობს. «როშაქ მონაა, თავადი მონისა ბევრ ათასისა» (1083). ერთი სიტყვით, პოეტისათვის თავადი ნიშნავს მეთაურს. ამავე შინაარსით ხმარობს ამ ცნებას ისტორიკოსიც. ის გიორგი რუსის მაპანკალს, თფილისელ ვაჭარს უწოდებს ვაჭართა თავადს (გვ. 264); აგრეთვე ჯარის უფროსები თავადათ

იხსენებიან (გვ. 322). ხელმწიფის კარის გარიგებაში *) ნათქვამია: «ამირსპასალარი საპატიო ვეზირი არის და თავადი ლაშქართა»-ო. ცხადია, თავადობა, როგორც წოდება იმ დროს საქართველოში არ არსებობდა და ამიტომ ის არც რუსთაველისათვის არსებობს.

ამ მართველთა წრეს მოსდევს სპა ანუ ლაშქარი. ვისგან შესდგებოდა ის? მის მთავარ ძალას, უეჭველია, მიწის მუშაკნი არ შეადგენდენ. «მუშა მიწყივ მუშაობდეს, მეომარი გულოვნებდეს» (IX), ასე გაყოფილი აქვს პოეტს ეს ორი კატეგორია. და თუ დაუკვირდებით მაშინდელ საქართველოს სინამდვილეს—ეს გაყოფა ადვილი გასაგებია. ომი იყო თითქმის მუდამ, მაშასადამე მისი წარმოება შეეძლო მოცლილ ხალხს: გლეხთა ომში ჩაბმა ნიშნავდა მთელი საზოგადოების შიმშილით ამოწყვეტას. მასში არ შედიოდა ვაჭართა კლასი ამავე მიზეზით, ვაჭრობა დაინყრეოდა. ამიტომ მათ ომიანობა არც კი იცოდენ. «თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი» (907). ხოლო ეს მოცლილნი იყვნენ უფლება-უპირატესობით მოსილნი აზნაურები. ამათთვის ლაშქრობა ხელობათ და ქონების წყაროთ გადაიქცა. ისინი თვით ითხოვდენ მთავრობისაგან «გვალაშქრეთო», როცა მშვიდობიანობა გახანგრძლივდებოდა. ეს შეიარაღებული ძალა მუდამ დიდ საშიშროებას წარმოადგენდა მეფის უფლებისათვის, მაგრამ ის გასტეხა დავით აღმაშენებელმა მუდმივი, დაქირავებული ჯარის დაწესებით ყივჩაყელებისაგან, რომელნიც მოიყვანა ჩრდილო კავკასიიდან (40000, თავისი ოჯახობით). თამარის დროს ეს წოდება უკვე მოსამსახურე წოდებამდე ჩამოქვეითდა და ამიტომ მისგან გამოსულ ლაშქარს არავითარი პოლიტიკური ფუნქცია აღარ

---

*) ეს ისტორიული დოკუმენტი ნასული და გამოცემულია თავის კომენტარიებით ექვ. თაყაიშვილის მიერ.

შერჩა. აი ამ ისტორიულ სინამდვილის კალაპოტში დგას სავსებით ჩვენი პოეტი: შერმადინ ავთანდილის ანდერძს უკითხავს არა მთელ ლაშქარს, არამედ რჩეულთ («ხასნი და დიდებულები» 124). მთელი ლაშქარი და მისი უფროსები უსიტყვოთ შერმადინს უცხადებენ ერდგულებას და მორჩილებას, ვინაიდან ასეთი იყო ბრძანება ავთანდილისა, «იგი მონა აპატრონეს, ყველაკამან თაყვანი სცა» (125). ამაზე უფრო ჩამოქვეითება აზნაურობის შეუძლებელია. პოეტი არსად არ ღალატობს თავის პოლიტიკურ დოქტრინას. ლაშქრის მიწვევის უფლება ქონდა, ჯავახიშვილის გამოკვლევით, მხოლოდ მეფეს: «ვეფ. ტყ—ში» კი მას იწვევს ამირსპასალარი ტარიელი. «ვუბრძანე წვევა ლაშქართა. გავგზავნე მარზაპანია» (317). «წვევა ლაშქართა» მიღებული ტერმინი იყო მეფეთა ბრძანებებში. ხოლო მარზაპანი იხმარებოდა მხოლოდ დავით აღმაშენებელის დროს, (იხ. ჯავახიშვილი). პოეტი ხმარობს მაშასადამე ძველ სიტყვას. მოწვეული ჯარის აღლუმი ხდებოდა მეფის მიერ. შემდეგ დროშას ჩააბარებდა ამირსპასალარს. რუსთაველი კი მთელ ამ პროცედურას მხოლოდ ამირსპასალარს მიაკუთნებს. «აღლუმი ვნახე, მეკეთა ლაშქართა მოკაზმულობა», «ავმართე დროშა მეფისა» და სხ. (318, 319). აქედან აშკარაა, ამირსპასალარს ქონდა ამის უფლება გამონაკლის შემთხვევებში. თვარა პოეტი ასე კატეგორიული ამ მხრით არ იქნებოდა.

საკვირველია ერთი ამბავი: შეიარაღებულ ძალთა შორის ხშირათ ვხედავთ მონებს, რომელნიც ერთობ დიდ როლს თამაშობენ მეფის გარშემო. როსტევაის მონები ემსახურებიან და არა ყმანი, ნადირობის არბიტრათ მეფე ნიშნავს თორმეტ მონას. მას ახლავს «მონები მხარ მაგრებია». ტარიელის დასაჭერათ მეფე გზავნის მონებს და არა მოყმეთ (53). ერთი სიტყვით, ყოველგან მეფე პირად განკარგულებას ახდენს

მონების საშუალებით. თუ კი მონები გაყავდათ ლაშქარში, გლეხები რატომ არ უნდა გაეყვანათ? ნამდვილათ კი, როგორც ისტორიიდან ვიცით ესენი არ ყოფილან უბრალო მონები, არამედ საგანგებოთ შედგენილი მეფის პირადი მცველთა ჯარი, რომელთაც ეწოდებოდა «მონა-სპები». (იხ. ჯავახიშვილი). მაშასადამე, რუსთაველი სწორეთ მუდმივ შეიარაღებულთა ამ კატეგორიას გულისხმობს; ის სინამდვილეს ასეთ წვრიმალნებშიაც კი არ შორდება!

ვაჭართა წრეს პოეტი ყოფს ორათ, ვაჭარნი და დიდ-ვაჭარნი. უკანასკნელნი დაახლოვებულნი არიან სასახლესთან, მისვლა-მოსვლა აქვთ მეფესთანაც.

«ჩვენ დიდ ვაჭართა ზედა გვაძს დარბაზს მიღება ძღვენისა, მათ საბოძვრისა ბოძება მართებს მსგავსისა ჩვენისა» (984). ამ კლასის მნიშვნელობა თამარის ხანაში დიდი იყო. თვით თამარის მაჭანკალი, გიორგი რუსის მომყვანი, თფილისელი ვაჭარია. «წარავლინეს კაცი ერთი მკვიდრთაგან თბილისითა, დიდი ვაჭარ სახელათ ბანქონ ზორაბობელ» — სწერს მემატიანე (ქ. ც. გვ. 285).

ყველა ამ ზემო აღნუსხულ კლასებს და წრეებს შეადგენდენ თავისუფალი ადამიანები, იურიდიულათ დამოუკიდებელნი და თანასწორნი მეფის წინაშე. ამათგან გამორიცხულია ერთი კლასი—მონები და შეადგენენ საზოგადოების უდაბლეს საფეხურს. ვინ არის მონა?

მონა ყოველგან ერთი და იგივე პირია—ომში ტყვეთ აყვანილი ან ნაყიდი ადამიანი. გიორგი მეფის და თამარის ხანაში ძლევა-მოსილ ომების წყალობით ტყვეთა რიცხვი ჩვენში ერთობ დიდი იყო. ისტორიკოსის ცნობით, თფილისის ბაზარზე ტყვე იყიდებოდა ერთ დრახმად (ხუთ შაურათ)! მონა ყავდა ყველას. ვისაც კი შეეძლო მისი ყიდვა; უეჭველია მონათა შორის ირიცხებოდა ვალში გაყიდული ქართველებიც,

რაც მაშინ ხშირი მოვლენა ყოფილა. რაკი მონები ასე ბევრი და იაფი იყო, გლეხების დამონავება და ძალით მიწაზე სამუშაოთ მიკვრა ეკონომიურ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ამიტომ დიდათ საეჭვოა ამ დროს ბატონ-ყმობის არსებობა იმ ფორმით, როგორათაც შემდეგ, ფეოდალიზმის ხანაში, განვითარდა. გლეხი თუ თავისუფლებას მოკლებული იყო, რუსთაველი რატომ მხოლოდ მონების თავისუფლებას ითხოვდა და არასოდეს გლეხებისას? ავთანდილი თავის ანდერძში სწერს; «მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ანთავისუფლე მონები» (697). შემდეგ, როცა გლეხი მონის მდომარეობაში ჩავარდა წესად შემოვიდა სულის საცხონებლათ გლეხის განთავისუფლება. თუ კი ეს წესი თამარის დროს მონებს მხოლოდ შეეხებოდა, ცხადია გლეხი ჯერ კიდევ არ ყოფილა თავისუფლებას სავსებით მოკლებული. ყოველად დაუჯერებელია ვითომ ისეთ რეალისტ პოეტს, როგორიც რუსთაველია, გლეხის დამონება გამოპაროდა.

პოეტის მიერ დახატული მთელი სოციალური სტრუქტურა და კლასთა დამოკიდებულება, გარდა მონებისა, დაყრდნობილია ერთ ძირითად სოციალურ ურთიერთობაზე—ეს არის პატრონ-ყმობა.

რას ნიშნავს პატრონი, ვის ეწოდება ყმა?

ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს ერთ შემთხვევაში ყმა, მეორე შემთხვევაში პატრონი. ავთანდილ არის ყმა როსტევანისა, «მე პატრონისა ჩემისა ასული შემყვარებია», ამბობს ის (216). მაგრამ ყმები მასაც ყავს; ის სწერს თავის ლაშქარს: «ჩემნო ყმანო, გამზრდელნო და ზოგნო ზრდილნო» (116). ის ეუბნება მეფე ფრიდონს: «მე ვარ ყმა როსტენ მეფისა, მოყმე არაბეთს ზრდილობით» (861), ან და: «პირველ ყმა ვარ, წასელა მინდა პატრონისა სამსახურათ. ხამს მეფისა ერთგულება, ყოფა გვმართებს ყმასა ყმურათ» (105).

ამ ტერმინალოგიიდან ცხადია ერთი: პატრონ—ყმობა არ არის ბატონ-ყმობა. პატრონი და ყმა—ორივე ერთნაირი თავისუფალი ადამიანებია.

ჯავახიშვილის გამოკვლევით, სიტყვა «პატრონი» შემოსულა ქართულ მწერლობაში მეთერთმეტე საუკუნეში. რომში პატრონი ეწოდებოდა მფარველს, რომელსაც ყავდა მფარველობის მოსურნე ადამიანი სახელწოდებით კლიეტი. ჩვენში კი ასეთ პიროვნებას ეწოდებოდა უფალი, ხოლო შემდეგ მას დაერქვა პატრონი. მაშასადამე პატრონ-ყმობა ნიშნავს ისეთ ინსტიტუტს, სადაც ერთი მხრით დგას სიუზერენი, მეორე მხრით მისი ვასალი, საიდანაც შემდეგ განვითარდა ბატონ-ყმობა, მსგავსათ დასავლეთი ევროპისა. ჯავახიშვილის მიერ დახატული თამარის დროინდელი პატრონ-ყმობა სავსებით ეთანხმება რუსთაველის მიერ დახატულს, ერთის გამოკლებით—ჯავახიშვილი ფიქრობს გლეხები იყვენ «ყმები» თავიანთი ბატონებისა, ე. ი. იყო პატრონ-ყმობის გვერდით ბატონ-ყმობაცა. აი ეს წარმოდგენა ეწინააღმდეგება ვეფხის ტყაოსანის აწერილობას და ამიტომ ის უნდა იქნას გადაშინჯული. ყმა, მოყმე პოეტის ბიერ ყოველგან იხმარება ერთი და იმავე მნიშვნელობით—ახალგაზდა, ვაჟკაცი, რაინდი. ეს სიტყვა რომ დამონების სინონიმათ ყოფილიყო, პოეტი მას თავისუფალ ადამიანს არ დაარქმევდა. საზოგადოთ, მთელი ტერმინალოგია მიიღებდა ფეოდალურ ხანის სახეს.

რუსთაველის საზოგადოებაში მხოლოდ ორი კლასია დაბეჩავებული და დახმარების მაძიებელი: გლახაკნი და მონები. პირველნი საჭიროებენ ნივთიერ შველას, მეორენი თავისუფლებას; ცხადია, პირველნი თავუსუფალნი არიან. გლახაკი მაშინ იხმარებოდა არა მათხოვრის აღსანიშნავად, როგორც ეს დღესაა, არამედ ღარიბის, ხოლო სიტყვა ღარიბი ნიშნავდა მარტო მოვზაურობას. ავთანდილი ამბობს: «საღარიბოთ

მოვემზადე". ე. ი. სამგზავროთო, ან და: «ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობლმან» (686). ღირიბებს ნივთიერი დახმარება, მონებს თავისუფლებ ·ა ი რუსთაველის სოციალური პოლიტიკა.

რუსთაველის მთელი პოლიტიკური ტერმინოლოგია არის განმეორება საქართველოს სახელმწიფო უფლების ტერმინოლოგიისა. ყველა მისი თანმდებობის პირი ისტორიულ სინამდვილეს აღნიშნავს. ჯარს ერქვა სპა. ჯარის უფროსს ძველათ სპასპეტი, შემდეგ სპასალარი, ვეზირი მინისტრს და სხ. ამათ შორის არის ისეთი თანამდებობანი, რომელნიც მხოლოდ ჩვენში იყო. მაგ. არაბეთ-სპარსეთში ვეზირი იყო მხოლოდ ერთი პირი. პირველი მინისტრი, დანარჩები ამ სახელწოდებას არ ატარებდენ. რუსთაველი კი სწერს «მეფემან იხმნა ვაზირნი» (3); რატომ ის მრავლობით იხსენიებს? იმიტომ რომ ვაზირები ბევრი ყოფილა და სწორეთ ასე იყო მხოლოდ ჩვენში; მეფის ხუთი მინისტრი ვაზირებათ იწოდებოდენ. ასევეა სიტყვა ამირსპასალარი, პოეტი სწერს: «ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირსპასალარისა» (9), «თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირსპასალარობა» (241). ამ სიტყვის ხმარება ამ მნიშვნელობით დაუწყიათ გიორგის და თამარის დროს. საიდან გადმოიღეს ის? სპარსნი ამ ცნებას აღნიშნავდენ სიტყვა «ამირ», ხოლო არაბები «სპასალარით». ქართველებს შეუერთებიათ ეს ორი სიტყვა და შეუქნიათ ახალი ტერმინი*).

ამ ნაირათ, რუსთაველი ფეხდაფეხ მისდევს საქართველოს სინამდვილეს, ის მას არ შორდება წვრილმანებშიაც. ის ასწერს არსებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთობას; აქედან მას გამოყავს პოლიტიკური დოქტრინა, რომლის გამარჯვებას ის ემსახურება. მისი დოქტრინაა: ობ-

---

*) იხ. ჯავახიშვილი სამართლის ისტორია I,

სოლიუტიზმი, რეფორმებზე დამყარებული. ანუ მეთვრამეტე საუკუნის ტერმინალოგიით რომ ვთქვათ, განათლებული ობ-სოლიუტიზმი. ის მეფეს ადარებს მზეს, რომლის სხივები ყველას ერთნაირათ ეფინება. «ვარდთა და ნეხვთა ვინადგან მზე სწორად მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენ-ცა ნუ მოგეწყინების», ასწავლის როსტევან მეფე თავის ქალი-შვილს თინათინს (გვ. 18).

მაშასადამე, პოეტის იდეალია არა ყოველნაირი მეფე, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც ღარიბებს ეხმარება, მო-ნებს ათავისუფლებს *), სიმართლეს მისდევს («ქმნა მართლისა სამართლისა»)—ერთი სიტყვით უმაღლესი კაცთმოყვარული თვისებებით დაჯილდოებული. «რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია». ამ გზით მაღლდება მეფის ავტორიტეტი და მით ძლიერდება თვით სახელმწიფო. ე. ი. საბოლოოთ, პოეტის მიზანია სახელმწიფოს მკვიდრ, ფართო საფუძველზე აგება. ამ მაზანს ის უმორჩილებს მთელ თავის პოლიტიკურ და სოციალურ მოძღვრებას.

ყველაზე უფრო გასაკვირი ისაა, რომ ამავე პოლიტი-კურ მიზანს პოეტი უმორჩილებს თავის რელიგიურ დოქტრი-ნასაც. ვინაიდან ეს საკითხი დიდ დავას იწვევს ჩვენს მწერ-ლობაში, ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია მასზე უფრო ვრცლად შევჩერდეთ.

---

*) ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა ანისის აღების შემდეგ აყვანილი ტყვეები გამოიყიდა მონობიდან სარწმუ-ნოების განურჩევლათ და ანისში დააბრუნა.

6. რელიგიური ფიქტრინა.

რუსთაველს ბევრი მოხვდა უმთავრესათ მისი რელიგიური იდეებისათვის. ზოგი მას მაჰმადიანათ აღიარებს, ზოგი მწვალებლათ, ზოგი პანტეისტათ, ატეისტათ, ერთი სიტყვით ყოველ შემთხვევაში ეკლესიის უკანონო შვილათ.

და მართლაც, საკვირველი ამბავია. მთელ საშუალო საუკუნეში არ დაწერილა საქრისტიანოში პოემა, სადაც არ იყოს ქრისტიანობის აპოლოგია, ქრისტეს მოძღვრების ქებათა-ქება, ხოლო ყველა არაქრისტიანთა «ურჯულოებათ» გამოცხადება. რუსთაველის თანამედროვე შავთელი თავის პოემას ასე იწყებს: «სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან», წმინდა მართლმადიდებელ დოგმატით; მაჰმადს ასე უმასპინძლდება: «მაჰმადის სჯულსა, გარდალაჯულსა, ბილწად საქიქელ, საბას რობელსა»... ასევე იწერება ევროპაში; აქ თვით თემებიც უმთავრესათ სამღვთო-წერით ისაგან არის ამოღებული; უმღერიან განსაკუთრებით «დაბადების» ამბებს. რაინდთა ორდენის სტატუტთა პირველი მუხლი აღიარებდა ქრისტიანობის დაცვას. ჯვაროსანთა ომები სწორეთ რუსთაველის ხანაში წარმოებდა. მთელი საქრისტიანო იერუსალიმის ასაღებად ბობოქრობდა. აი ამ საერთო რელიგიური აღტყინების დროს გამოდის ქართველი მწერალი, სწერს დიდებულ ეპოპეას და შიგ ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს არც ქრისტიანობას, არც მართლმადიდებლობას, არც სამებას, არც ჯვაროსანთა ლაშქრობას, არავითარ რელიგიურ დოგმატებს!

რაშია საქმე?

რელიგია ეწოდება ღვთის მსახურების განსაზღვრულ ფო-

რმას, რომლის საშუალებით მორწმუნე ფიქრობს ღმერთთან დაკავშირებას, მის დიდებას და მისი საშუალებით სააქაოს და საიქიოს მოპოვებას. მაშასადამე, საერთოა ყველა რელიგიაში ღვთის არსებობის აღიარება. ღმერთი ყველას უნდა სწამდეს, ხოლო შემდეგ იწყება განსხვავება. დგება სხვადასხვა რელიგია საკუთარი მოძღვრებით და წერილით. რუსთაველი დგას რელიგიათა საერთო ნიადაგზე, ერთი ღმერთის არსებობა მისთვის უდაოა. მაგრამ უარყოფს ყველა იმ მოვლენას, რაც ერთ რელიგიას მეორისაგან ანსხვავებს. მათ დოღმატებს, მათ ლოცვას, მათ გარეგან გამოხატულებას. ავთანდილის ლოცვა და ანდერძი ნათელ ყოფს ამ დებულებას. დამახასიათებელია ლოცვის შინაარსი, ე. ი. რას და როგორ ლოცულობს. ის სთხოვს ღმერთს:

«მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულისთქმათაო...
ნუ აღმოფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა,
მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე განმარიდე».

(693-695).

როგორც ხედავთ, ის ღმერთს ეუბნება პირდაპირ, უშუამავლოთ, არც ქრისტე, არც მაჰმადი, არც წმინდანი, არავითარი მოციქული და კარისკაცი ღმერთთან. ლოცვის ფორმა არ არის რელიგიური ფორმის და დოღმატის. მისი შინაარსი კი წმინდა სამოქალაქოა. ის ითხოვს სურვილის დათმობას, ე. ი. მტკიცე ნების ყოფის შენახვას, სიყვარულის დამაგრებას თინათინში, დახმარებას მტერთან ბრძოლაში მოგზაურობაში, სამაგიეროთ პირდება მსხვერპლის შეწირვას. ასე ლოცულობენ ილიადას ყველა გმირები თავთავიანთ მფარველ ღმერთების წინაშე. ეს ანტიური, წარმართული ლოცვაა. არც ბატი, არც ჯვარი, არც ყურანი, არც სახარება---არც ერთი ატრიბუტი რომელიმე სარწმუნოებისა. ასეთივე ხასიათისაა როსტევანის ბრძანება შესახებ ავთანდილის გაპარვისა:

«მერმე ბრძანა—მხიარულსა ნუ ჩაიცმენ ჩემნი სპანი, ვამლოცველნოთ დავრდომილნი, ობოლნი და ქვრივნი სხვანი, შევეწივნეთ, მშვიდობისა ნუთუ მისცნეს ღმერთმან გზანი»(713). ე. ი. ალოცებენ არა ღვთის მსახურთ, ხოჯებს და მათ ამყოლთ, არამედ ღარიბებს, დავრდომილებს. არც ეკლესია, არც პარაკლისი, არც წირვა—არაფერი დოღმატიური. და ასე ყოველგან, მთელს პოემაში. ყველა ფიცი სამოქალაქოა, არც ერთი რელიგიური (ფიცი ნესტანდარეჯანისა, ტარიელის და ავთანდილისა, უსენის და სხ.). ეს უბრალო ვაჟკაცი უსენიც კი ურელიგიო ფიცს იძლევა:

«ფიცი ჰფიცა საშინელი: თავიცაო კლდეთა ვიცე,
რაცა მითხრა, სიკვდილამდის არვის უთხრა სულიერსა,
არა ბერსა, არა ყმასა, მოყვარესა, არცა მტერსა» (1015).

ეს უბრალო აღთქმაა, როგორც ახლა შემოღებულია სასამართლოებში ურწმუნოთათვის, ხოლო ჩვენი პოეტისათვის ის არის «ფიცი საშინელი».

რელიგიური თვალსაზრისით სიკვდილის შემდეგ საჭიროა სულის ცხონებისათვის განსაკუთრებითი ზრუნვა: წირვა, პანაშვიდი, წმინდა ადგილების მოვლა და იქ ლოცვა, ეკლესიების და მის მსახურთა დასაჩუქრება, ღვთის წინაშე სხვა და სხვა პროტექტორთა მოპოვება (მაჰმადი, წმინდანები და სხ.). არაფერი ამის მსგავსი პოემაში არ არის. აი ავთანდილი რას ითხოვს როსტევანისაგან მისი სიკვდილის შემდეგ გასაკეთებლათ:

«მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა საპურჭლე *), ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები.

---

*) საპურჭლე ნიშნავს ქონებას, სიმდიდრეს.

მიღწვინ. მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.
რაცა თქვენთვის არ ვარგიყოს საჭურჭლესა *) დასადებლათ
მიიც ზოგი ხანაგათა **), ზოგი ხიდთა გასადებლათ,
ნურა ნუ გშურს საქორელი ჩემი ჩემთვის წასაგებლათ»
(687-688).

როგორც ხედავთ, ეს წმინდა მოქალაქობრივი ანდერძია. კერძო და საზოგადო ქველმოქმედება—აი რა ქმნის უკვდავათ მიცვალებულს. მას მოიგონებენ ობლები, არას-მქონები, მას მოიგონებს საზოგადოება, მთელი ხალხი. ეს საუკეთესო ანდერძის საუკეთესო ნიმუშია. ერთი სიტყვით, პოეტი არ აყენებს არც ერთ რელიგიურ დოქტრინას, არ ემყარება არც ერთ სარწმუნოებას. რელიგიის სფეროდან მას ამოაქვს მხოლოდ ის რაც საერთოა ყველასათვის, ღმერთის არსებობა, ხოლო ყოველივე ის რაც ანსხვავებს ერთი რჯულის ხალხს მეორისაგან განდევნილია. ამით აიხსნება ისიც რომ სიტყვაც არ არის არსად დაძრული იმ დიად ამბებზე, რომელიც იმ დროს აფორიაქებდა მთელ საქრისტიანოს და სამაჰმადიანოს—ჯვაროსანთა ომებზე. სწორეთ იმ დროს იერუსალიმის გამო გამართული ომები პოეტში არ პოულობს არავითარ გამოხმაურებას. ომი სარწმუნოებისათვის მისთვის არ არსებობს.

რით აიხსნება ეს საოცარი მოვლენა?

ჩვენი მკვლევარები ასახელებენ ამ მოვლენის სხვადასხვა მიზეზებს, რომელნიც შეიძლება გავყოთ სამ კატეგორიათ. ერთნი ამბობენ, რომ პოემაში სამაჰმადიანო მსოფლმხედველობაა გატარებული და თვით პოეტიც ქართველი მაჰმადიანი იყოვო (კეკელიძე, აბულაძე, მარი); მეორეთა აზრით პოეტი იყო მწვალებელი, არა წმინდა ქრისტიანი (ბ. ინგოროყვა).

---

*) ბაზინა; **) საზოგადო თავშესაფარი.

ხოლო მესამენი უჩვენებენ პოეტის ნეოპლატონიური ფილოსოფიის მიმდევრობას (მარი). განვიხილოთ ეს შეხედულობანი ცალ-ცალკე.

მაჰმადიანური მსოფლმხედველობა არის პირველ ყოვლისა რელიგიური. ისლამიური მსოფლმხედველობა. ის სავსებით ყორანზეა დაფუძნებული. პოემა კი სავსებით რელიგიის გარეშე დგას, როგორც ქრისტიანულის, ისე მაჰმადიანურის. ის მთლიანათ საერო ნიადაგზე რჩება. პოეტი მართალია იხსენიებს ყორანს და მის მსახურთ მაგრამ მეტათ უპატივცემულოთ და უარყოფითად. ტარიელი ამბობს:

«სრულნი მუყრნი და მულიმნი მე გარეშემო მცვიდიან,
მათ ხელთა ჰქონდათ მუსაფი, ყოველნი იკითხვიდიან,
მტერ-დაცემული ვეგონე. არ ვიცი რას ჰჩმახვიდიანი»
(270).

ხოჯების მიერ ყორანის კითხვის ჩმახვათ, ე. ი. სისულელის როშვათ, დასახვა ნათელყოფს ავტორის გარკვეულ ანტიმაჰმადიანურ შეხედულებას. მთელი ის ადათ-ჩვეულებანი, რომელიც პოემაში აწერილია, პირდაპირ ეწინააღმდეგება ისლამის მოძღვრებას. არსად მასწავლებლათ და სულიერ ხელმძღვანელათ ყორანის მოციქულნი არ არიან გამოყვანილნი. ყველგან ასეთ პოსტზე დასახელებულია ბრძენნი, ათინის ბრძენნი (590): «ბრძენთა მიმცეს სასწავლებლათ». ამბობს ტარიელი (244); ნესტანდარეჯანი ჩააბარეს მეფის დას დავარს «სიბრძნისა სასწაველელად» (253). ქალები გამოდიან საზოგადოებაში უჩადროთ. თინათინს «ებურნეს მოშლით რიდენი», მაგრამ ეს არ ნიშნავს პირის დაფარვას: რიდეს თვით ტარიელიც კი ატარებდა. «რიდენი რამე მეშოვნეს ქალაქსა ხატაველთასა, იგი მესვიენეს მშვენოდეს», ამბობს ტარიელი (393). თინათინს რომ პირი დაეფარა ავთანდილთან შეხვედრისას, პოეტი აღარ დასწერდა «პირისპირ უკვრეტდა»-ო (80, 81).

ნესტანდარეჯანი დიდ ნადიმში ზის უჩადროთ. «პირისპირ მიჯდა იგი მზე. გული ვისთვისაც კვდებოდა, მალვით უპვრეტდი, მიპვრეტდა, სხვად არად მეუბნებოდა» ამბობს ტარიელი (396). მისი ქორწილი ფრიდონისას ამავე წესებით წარმოებს. «ნესტანდარეჯანს უშვენის ღიმილი, ჩენა კბილისა» (1301). თუ ახალგაზდა ქალები ასე თამამათ ჩნდებიან საზოგადოებაში, ხანში შესულზე ლაპარაკიც კი მეტია. ყველა ქალი ყოველგან სახედაუფარავია. თვით ნადიმობა წარმოებს არამაჰმადიანური წესით. ჭამა-სმა და ლხინი ყოველთვის ღვინით ხდება. «არვისი ბრძანა მეფემან არცა გაშვება მთვრალისა» (396). თინათინის ქორწილზე «მსმელთათვის წყარო ღვინისა ასგან სდის, მსგავსი მილისა; ბინდით ცისკრამდის სმა იყო, გარდაჰხდა ჟამი დილისა» (1384); ფრიდონმა როსტევანს «მადლი ჰკადრა ფხიზელურად, თუცა იყო ღვინო-სმული» (1391). ქალის ხელზე კოცნა, რაიცა პირველათ საშუალო საუკუნეში შემოვიდა ქრისტიანთა 'მორის, შემოღებული აქვს რუსთაველსაც. დიდებულები შეეგებენ ნესტანდარეჯანს, «მოვიდეს და პირი ხელსა ლასდვეს, აგრე გარდაჰკოცნეს» (1293). აწერა თინათინის გამეფების და ნადიმის პოეტური განმეორებაა ისტორიკოსის მიერ აწერილი თამარის გამეფებისა, როგორც ეს ზემოთ მოვიხსენიეთ.

ერთი სიტყვით, პოემა არც რელიგიური დოქტრინით, არც აწერილი ზნე-ჩვეულებებით არა თუ არ გავს მაჰმადიანურ მსოფლმხედველობას, პირიქით სავსებით ეწინააღმდეგება მას და მის მიერ დაწესებულ ადათებს. მაჰმადიანური შიგ არაფერია, გარდა სახელებისა და გეოგრაფიული ტერმინებისა, რითაც მოხერხებულათ იფარება წარმოდგენილი ქართული სინამდვილე. ეს იმდენათ აშკარაა, რომ თვით მარიც კი იძულებულია თქვას, რომ პოემის «ქალის კულტი თამარის ხანის განათლებული საზოგადოების ღვიძლი შვილიაო» (იხ. იქ.).

პაელე ინგოროყვა შოთას არ უკიეინბს მაკმადიანობას, მაგრამ სამაგიეროთ მას აწერს მწვალებლობას. მისი აზრით პოეტი იყო მანიქეველი, მაშასადამე მართმადიდებელი ეკლესიის მტერი და პოემაში მანიქეველთა მსოფლმხედველობა გაატარაო. ამ შემთხვევაში ავტორი ემყარება ერთ ფრაზას, ერთ სიტყვას, ისტორიულ დოკუმენტში ამოკითხულს. აქ ნათქვამი ყოფილა: «შოთაი მანისფერი». საბუთი მეტად მჭლე, სკოლასტიურია. საჭიროა დამტკიცდეს სამი დებულება: რომ აქ ნახსენები შოთა პოეტი შოთაა, რომ აქ ნათქვამი მანი მართლა მან-ათ იკითხება და არა მუნ-ათ, როგორც ზოგი ფიქრობს, მესამე და ეს თავიდათავია, რომ არის თუ არა პოემაში მართლა გატარებული მანიქეველთა აზროვნება. დავანებოთ თავი პირველ ორ ჰიპოტეზას, როგორც მცირე მნიშვნელოვანს და სადაოს. უდაოა ორი საგანი: რუსთველის პოემის და მანიქეველთა მსოფლმხედველობის არსებობა. ყველას შეუძლია ორივე გაიცნოს და შეადაროს. არის მათ შორის რამე საერთო? ბ. კეკელიძემ ნათლად დაამტკიცა თავის «ისტორიაში» ამ ორი მოძღვრების სრული შეუთავსებლობა. მათ შორის სრული წინააღმდეგობაა და გვაკვირვებს ბ. ინგოროყვამ როგორ ასე უყურადღებოთ დასტოვა თავის წიგნში ეს საბუთები. ჩვენი ისტორიკოსი მანიქველების მოძღვრებათ აღიარებს შზის გაღმერთებას, მხეს «ღვთაების ემანაციათ», და რადგანაც რუსთაველის გმირები მზეზე ლოცულობენ, მათი აზროვნების ერთ-იგივეობა ბოძებულია; აი ავტორის მთელი არგუმენტაცია.

არც ერთი ეს არგუმენტი სისამდვილეს არ შეეფერება. მანიქველთა ფილოსოფია დაყრდნობილია ორი რელიგიის — ზოროასტრის და ქრისტეს ძირითად დებულებათა შედუღებაზე. პირველისაგან აღებულია მოძღვრება ორი ღმერთის,

კეთილის და ბოროტის (ორმუზდი და არიმანი) არსებობა, ხოლო მეორისაგან ნასეხებია დოღმატები, იერარქია, ეკლესია და სხ. ე. ი. მანიქეველობის ნიშნობლივი თვისებაა რელიგიური დუალიზმი და ქრისტიანული ასკეტიზმის უსაზღვრო განვითარება და განსაზოგადოება. რუსთაველი კი რელიგიური მონიზმის მიმდევარია. ღმერთი ერთია; პოემაში ღმერთი ნახსენებია 193 ჯერ და ყოველთვის ერთი და იმავე აზრით. მგოსანი ჯერ კიდევ წინასიტყვაობაში გვამცნობს თავის რელიგიურ შეხედულებას, რაიცა გატარებულია შემდეგ მთელს პოემაში. აქ ვკითხულობთ: «ჰე. ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა, შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა» (11). ე. ი. ღმერთი ერთია, ქვეყნის გამჩენი, მაგრამ არის აგრეთვე სატანა, მაცდური, რომლის დათრგუნვა ღვთის დახმარებით შეიძლება. ეს ასე ვთქვათ საკაცობრიო-სახალხო რწმენაა. აქედან გამონაკლისს შეადგენს ზოროასტრის რელიგია, სადაც სატანა ღვთის ღირსებამდეა აყვანილი. რუსთაველის ღმერთი კი ერთად ერთი ყოვლად შემძლე არსებაა, რომლის ბადალი არ სუფევს. «რაცა ღმერთსა არა სწადდეს არა საქმე არ იქმნების» (678). ან და «ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაჰბადებს» (1328), «ღმერთო, ღმერთო გეაჯები, რომელი ჰფლობ ქვეყნათ-ზესა» (694). ერთი სიტყვით ღვთის ანტიმანიქეური წარმოდგენა პოემაში თავიდან ბოლომდე გატარებულია.

რაც შეეხება მანიქეურ ასკეტიზმს, მის მიერ ოჯახის, ცოლ-ქმრობის, საერო სიხარულის და სიამოვნების დაგმობას და ქვეყნის მონასტრათ და მონაზონათ გადაქცევას—აქ ხომ სავსებით ეპირდაპირება ის რუსთაველის მთელ პოემას, სადაც ბრძოლა სწარმოებს სწორედ ცოლ-ქმრობის და საქვეყნო სიამოვნებისათვის და ასკეტიზმის კვალიც კი ამოგდებულია.

პ. ინგოროყვა შეცდომაში შეყავს პოეტის მიერ მზის და-

ხასიათებას, მისი მნიშვნელობის გადიდებას. მაგრამ აქ მზე მარტო არ არის, ყველა შვიდი მნათობი დიდ როლს თამაშობს პოემაში: ავთანდილ ყველაზე ლოცულობს, ყველას აქებს და დასმარებას სთხოვს (831-837). ეს აზროვნება უფრო ასტროლოგიის სფეროდან არის, ვინემ რელიგიიდან. ქართული საეტლოც ამ აზროვნების შედეგია. თვითეული მნათობი აღჭურვილია თავ-თავისი თვისებით. მზე არის «მეფეთა მეფე», ზუალო (სატურნი) იძლევა ცრემლს, მუშთარი (იუპიტერი) იძლევა სიმართლეს, მარიხი ლახვარით დამჭრელია, ასპიროზ (ვენერა) კეკლუცია, ოტარიდი (მერკური) მწერალია, მთვარე მზის მოციქულია. პოეტმა ეს საუცხოო დახასიათება უეჭველია ამოიღო ხალხის თქმულებიდან, სახალხო ზეპირსიტყვაობიდან და ქალდეის ასტროლოგიიდან. პოეტი მზეს უწოდებს ადამიანებსაც, როცა მათი ქება ეჭვერება. ის მზეთ იხსენიებს თამარს (111), თინათინს (5), ავთანდილს (მსგავსი მზისა» 9), ნესტანდარეჯანს, ტარიელს და სხ. (832, 858 და სხ.). და თუ მზე ღვთის სინონიმათ მივიღეთ, რამდენი ღმერთი ყოფილა! არა, აქ პოეტი პირწმინდათ მისდევს ქართველ სახალხო თქმულებას და მას იმეორებს. შვიდი მნათობის განსაკუთრებითი პატივისცემა განმეორებულია არა მარტო პოემაში, არამედ «ქართლის ცხოვრებაშიაც». ისტორიკოსი თამარს უწოდებს «მზე იგი მზეთა», «შვიდ მნათობიანს» და მას ადარებს «შვიდთა მათ სარტყელთა ცისათა, მნათობთა სფეროსანთა, რომელ არიან კრონოს, ზევს, აფროდიტე, აპოლონ, ერმი, ეროკლი და არეა» (სახელები ბერძნულია, გვერ. 277—278).

როგორც ხედავთ, რუსთაველი აღიარებს ერთ ღმერთს და პატივს სცემს შვიდ მნათობს. «ქართლის ცხოვრ.» სიტყვით ასეთი რწმენა საქართველოში ვითომ ალექსანდრე მაკედონელმა შემოიღო.

«და უბრძანა ალექსანდრემ აზონს, რათა პატივს სცემდენ მზესა და მთვარესა, და ვარსკვლავთა ხუთთა და მსახურებდენ ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოველისასა, რამეთუ მას ქამსა არ იყო წინასწარმეტყველი და მოძღვარი სჯულისა ჰეშმარიტისა...» (გვ. 27) რასაკვირველია ეს ახსნა ქართველი ხალხის ამ რწმენისა მართალი არ არის: მაკედონელი აქ არაფერ შუაშია. აქ საყურადღებოა ამ რწმენის ისტორიული კონსტატაცია, რომ ის არსებობდა სინამდვილეში; რუსთაველმა აგვიწერა ეს სინამდვილე. ეს ხალხური შეხედულება, ხოლო მოძღვრება «სჯულისა ჰეშმარიტისა» განხე გადადვა.

ამნაირათ, რუსთველი ერთიანათ ემყარება საყოველთაო რელიგიურ რწმენას, საერთო შეხედულებებს, ხოლო «სჯული ჰეშმარიტი», როგორც კერძო და სადაო, განდევნილი აქვს. საერთოა, როგორც ვთქვით, ღმერთი და მნათობთა პატივისცემა. ამას ემატება მესამე ასეთივე საყოველთაო რწმენა—ბედისწერა, ფატალიზმი. ამ მოვლენის დახასიათებით ბოლოვდება პოეტის მთელი რელიგიური შემეცნება. ყველა ხალხში ღრმად გამჯდარი იყო და არის, რომ «რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების»; ამიტომ რუსთაველის გმირები უსაშველო ფატალისტებია. ავთანდილი ამბობს: «თავსა ჩემსა გაგებული იქმნას, რაცა ღმერთსა უნდეს» (627). «არვის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა». «რაცა ღმერთსა გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლათ, გარდამხდეს და შემოვიქცე აღარ დამრჩეს გული ავლად» (680—681). ტარიელმა გადასწყვიტა სამასი მეომრით ეკვეთოს ხატაელთა ურიცხვ ჯარს და გულს ასე იმაგრებს: «რაცა იქმნების, იქმნების, ყოვლი თათბირი სწორია» (351). ასეთი რწმენა მართლაც ამხნევებს და აგულოვანებს ადამიანს და მას ვაჟკაცათ ხდის. ფატალიზმი გმირის მიუცილებელი თვისებაა, ასე ყოფილა

მუდამ ისტორიაში, ასევეა «ვეფხის ტყაოსანში». პოეტს სწორედ ასე ესმის ფატალიზმის მნიშვნელობა. ავთანდილი ემხადება მეკობრეებთან საბრძოლველად, ვაჭრები შეშინდენ. ის კი ანუგეშებს: «უგანგებოთ ვერას მიზმენ. შეცამბენეს ხმელთა სპანი, განგებაა, არ დავრჩები, ლახვარია ჩემთვის მზანი. ვერ მიხსნიან ვერ ციხენი, ვერ მოყვასნი, ვერცა ძმანი, ვინცა იცის ესე ასრე, ჩემებრვეა გულოვანი» (906). ცნობილია, ნაპოლეონის ფატალიზმი. ის ტყვიას არ ერიდებოდა და სწორედ ავთანდილისებურათ ამბობდა—უგანგებოთ ვერას მიზმენო!

რუსთაველის გმირები მარტო ბედზე არ ემყარებოდენ. ავთანდილი ამბობს: «ბედი, ცდა და გამარჯვება, ღმერთსა უნდეს მოცაგხვდების» (783). მაშასადამე, ცდა ანუ მუშაობა, ბედის მონახევრეა. ჰომერის ყველა გმირი ფატალისტია, მაგრამ იმავე დროს დიდი მუშაკებია. საზოგადოთ, ელინური მსოფმხედველობით ბედს მორჩილებს თვით ზეესიც; ბედი საყოველთაოა, მსოფლიოს სისტემაა, რასაც ემორჩილება ყოველი. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ—ეს დეტერმინიზმია, მორწმუნეთათვის რელიგიური, მეცნიერთათვის ბუნებრივი. სახალხო რწმენაა რელიგიური დეტერმინიზმი. ღმერთი უხილავი ყველა მოვლენის სათავეა.

რუსთველის რელიგიურ მსოფლმხედველობას სრულიად არ უდგება არც ნ. მარის განმარტება. ნეოპლატონიური მოძღვრება პოემაში არ სჩანს. ამ მიმდინარეობის ნიშნობლივი თვისებაა რაციონალიზმი, მოვლენათა მთავარ მიზეზათ გონების აღიარება. ხოლო ეს გონება არის გაპნეული ყოველგან, ყველა ნივთში და არსებაში. მისი ღმერთი პანთეისტური. რუსთველის ღმერთი კი დგას გონების გარეთ, მის მაღლა, მისგან გამოდის ყოველივე, თვით გონებაც; ის ინდივიდუალური არსებაა, ცის და ხმელეთის შემქმნელია.

ამ ნაირათ რუსთველის მსოფლმხედველობა არც პანთეი-

სტურია, არც ათეისტური; ის თეისტურია; მისი თეიზმი არც ქრისტიანულია, არც- მაჰმადიანური, არც სექტანტური, ის არის საყოველთაო, საერთო. საკაცობრიო, ადამიანურია.

როგორ მოხდა ასეთი თხუზულების შექმნა უაღრესათ სარწმუნოებრივ. ქრისტიანულ ეპოქაში, საქრისტიანო და სამაჰმადიანო მსოფლიოს დატაკებაში, მონასტრების და მონაზონობის აღორძინების ხანაში?

შევუდგეთ ამ ამოცანის ახსნას.

მიზეზი ორგვარია: საერთო კულტურული და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური.

მიზეზი კულტურული. ქრისტიანობას საქართველოში დახვდა უკვე ჩამოყალიბებული ქართველი ერი, საკუთარი ენით. განსაზღვრული ტერიტორიით და სახელმწიფო წყობილებით. ამ მზა-მზარეულ, ისტორიულათ შემუშავებულ ნაციონალურ საზოგადოებას ის მოევლინა გარედან, წმინდა რელიგიური დროშით, საკუთარი მიმდევრებით და დოღმატებით. ის ქმნის არა ახალ საზოგადოებას, არა ახალ სალხს. არამედ ახალ სარწმუნოებას უკვე შექმნილ საზოგადოებაში. მისი როლი იფარგლება რელიგური, იდეური მოღვაწეობით; საერთო მიმდინარეობის და ცხოვრების გვერდით ბუდეს იკეთებს საქრისტიანო მიმდინარეობა; მხედრული და ხუცური სულისკვეთება მის-მისდა, ერთი-მეორის გვერდით ვითარდებოდა. ერთი-მეორის წაუშლელათ და შთაუნთქმელად.

სულ სხვა როლს თამაშობს ქრისტიანობა დასავლეთში. აქ რომის იმპერიის დაშლამ გამოიწვია თვით საზოგადოების დაშლა, ყველა მისი შემაერთებელი ძაფების დაწყვეტა და შემოსეულ ბარბაროსების (გერმანელების) გაბატონება. სახელმწიფო, მისი ტერიტორია, მისი მართველობა მოისპო, ყველაფერი ერთმანეთში აირია, სოციალური ქაოსი გამეფდა, მუშტის უფლება გაბატონდა. ამ დროს, ამბობს გიზო, საე-

რო მთავრობა იყო ყაჩაღობა, ძალმომრეობა, რომლის ულელ ქვეშ გმინავდა დაშლილი საზოგადოება. «ეკლესია, რაც უნდა მცირე ყოფილიყო მისი შეხედულება მორალზე და სამართალზე, მაინც უსაზღვროთ მაღლა იდგა ასეთ მართველობასთან შედარებით». უკვე მეათე საუკუნეშიც კი «ხალხს არ შეეძლო თავის თავი დაეცვა, საერო ძალმომრეობისათვის პასუხი გაეცა. რელაგია ერეოდა მის გვერდით ზეცის სახელით. ამ მიზეზმა ყველაზე უფრო შეუწყო ხელი თეოკრატიული პრინციპის გამარჯვებას». ცხადია, ეკლესია აქ თამაშობს არა მარტო რელიგიურ როლს, ის უაღრესათ კულტურული მუშაკია. დაშლილ საზოგადოებაში ერთად ერთი ეკლესია რჩება დაუშლელი, ძლიერი ორგანიზაციით და ჯვარით და სახარებით ხელში ბარბაროსობის დამთრგუნველი. ის აწყობს ახალ საზოგადოებას. ასწავლის ძლიერთ მართვას, სუსტთ ამხნევებს. მისი მონაწილეობით ისახება ახალი ხალხები, ჩნდება ფრანგი, იტალიელი, ისპანიელი, ინგლისელი. ყალიბდება თანამედროვე ერები და მათი ტერიტორიები საკუთარი კულტურით, ენით და წყობილებით. ქრისტიანობა დასავლეთში თამაშობს დიად კულტურულ როლს. ის ღრმად იდგამს ფესვებს ხალხის გულში და ეს მისი ძლიერება გრძელდება დღევანდლამდე. ევროპიელი საზოგადოება დღესაც რელიგიური საზოგადოებაა, სახარება და დაბადება მისთვის ჩვეულებრივი საკითხავი წიგნია.

აი ასეთი როლი ითამაშა ქრისტიანობამ ყველა საქრისტიანო ერში. გამონაკლისია მხოლოდ ორი ერი—ქართველნი და სომეხნი. მაგრამ ვინაიდან სომხებმა ადრე დაკარგეს თავისი სახელმწიფო და გასდენ დამპყრობელთა მსხვერპლი, ამიტომ მათ შორის ერთად ერთ შემაერთებელ და დამცველ ძალათ რჩება ეკლესია. ჯვარი და სახარება აქ იწყებს კულტურული როლის თამაშს, მსგავსათ დასავლეთისა.

მაშასადამე, რჩება ერთად-ერთი გამონაკლისი ამ საერთო მოვლენიდან—ეს არის საქართველო და მისი ეკლესია. ჩვენი აზრით, ქართველი ერის ცივილიზაციის თავისებურობა, მისი საკუთარი, ნაციონალური გზა აი ამ მოვლენაში იხატება.

რაკი ქრისტიანობას დახვდა ჩვენში ყოველივე ის, რის შექმნა მას სხვაგან თვით დასჭირდა, რაკი აქ მისი ასპარეზი მხოლოდ სარწმუნოებით განისაზღვრა, ცხადია, ის სალხის გულში ღრმად ვერ ჩაიჭედებოდა და თავის სულიერ ბატონობას მასზე ვერ დაამკვიდრებდა. ქართველი საზოგადოება უაღრესათ არა-რელიგიური საზოგადოებაა. ეს მოდის ძველთაგან, დღევანდლამდე. ამიტომ ერთიდაიგივე პროცესი, ეკლესიის გაბატონება საერო მართველობაზე, ამუშავებული ერთდაიმავე დროს ჩვენში და დასავლეთში, მარცხდება ჩვენში, იმარჯვებს ევროპაში. ჯავახიშვილის გამოკვლევით, მეცხრე საუკუნეში ქართველი სამღვდელოება უკვე აღარ ემორჩილება საერო მართველობას. მათ «მთავრის მოწვევის ბარათზე შეეძლოთ პასუხათ შეეთვალათ, ბერს შენთან «არა ნებავს მოსვლაო». ის მეფეს ეუბნებოდა: შენ წარმავალთა ამათ ქამთა მეფე ხარო, მე კი, შენ კი არა, მხოლოდ ქრისტე ღმერთს ვემორჩილები და იმის გარდა სხვას არავისო და სხ.*) აი ეს საეკლესიო მიმართულება დავით აღმაშენებელის დროს უკვე დამარცხდა და იმ დროს, როცა დასავლეთში ეკლესია იმორჩილებდა მეფეთ, ჩვენში პირიქით, მეფე იმორჩილებს ეკლესიას. ამას არავითარი ბრძოლა, საეკლესიო რასკოლი, მსგავსათ პეტრე დიდის დროის რუსეთისა, რეფორმაცია და საზოგადოთ რელიგიური პროტესტი არავითარი ფო-

---

*) ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი პირველი.

რმით არ გამოუწვევია. სამღვდელოების პრეტენზიას ხალხში ნიადაგი არ აღმოაჩნდა. ეს პრეტენზია რამდენიმეთ თავს სწევს მეჩვიდმეტე საუკუნეში, ეკრეთ წოდებულ აღორძინების ხანაში, მაგრამ აქაც ის რჩება სმად მღაღადებლისა. ის ხალხს ვერ ითრევს. ვახტანგ მეფის კანონში ქათალიკოზის და მეფის სისხლი ერთი ფასითაა შეფასებული. რაიცა იურიდიულ სფეროში ეკლესიის უმაღლეს მიღწევათ უნდა ჩაითვალოს.

ამხაირად, რუსთველის პოემა დგას ამ კულტურულ ჩარჩოში; ის ამ კალაპოტის საუკეთესო გამომხატველათ უნდა ჩაირიცხოს. პოეტისათვის ყოველივე საეკლესიო ხუცურია, ხუცების ასპარეზია და აქ საერო მოღვაწენი არაფერ შუაშია. დავით აღმაშენებელის დროს დაწყებული საერო საზოგადოების სრული ემანსიპაცია სასულიერო საზოგადოებისაგან «ვეფხის ტყაოსანში» პოულობს სრულ გამოხატულებას. და ეს არც კი უკვირს მაშინდელ საზოგადოებას. პოემის ურელიგიობა, არაქრისტიანობა არავითარ პროტესტს არ იწვევს, იმდენათ სუსტი იყო ეკლესიის გავლენა. მართალია, პ. ინგოროყვა უთითებს «ვეფხის ტყაოსანის» დევნაზე რელიგიური მოტივებით, მაგრამ ამის ვერც ერთი საბუთი ვერ წარმოადგინა. ხოლო საბუთები იმის, რომ პოემა იდევნებოდა არა რელიგიური, არამედ რომანიული მოტივებით, არსებობენ. ვახტანგ მეფის სიტყვით პოემას უწოდებდენ «სამეძაოს», ე. ი. სიყვარულის მქადაგებელს. ამასვე უკიჟინებს პოეტს შემდეგ ტიმოთე მიტროპოლიტი (1749 წ.) თავის იერუსალიმში მოგზაურობაში. მაშასადამე, ქართველი საზოგადოებისათვის ახალი და მიუღებელი იყო არა პოემის საერო ხასიათი, არამედ მისი რომანიული შინაარსი, ცოლქმრობის სიყვარულზე აგება, თავისი ამორჩევით დაქორწინება.

ბიზეზი პოლიტიკური. პატარა ქართველი ერი, მომწყვ-

დეული სხვადასხვა არაქრისტიან ერთა შორის, თავს ვერ შეინახავდა ვერც ფიზიკურათ, ვერც პოლიტიკურათ სარწმუნოების დროშით. ის უნდა შეწყობოდა ისტორიულად ბოძებულ მდგომარეობას: მეზობლებთან საერთო ენის გამონახვას, მათთან დაახლოვებას და დაკავშირებას. მათ ყოფდა რჯული, ამ ნიადაგზე მათი კავშირი შეუძლებელი იყო. მათი ერთობა შეიძლებოდა სახელმწიფო ინტერესების ნიადაგზე. აქედან, სარწმუნოების თვითეული ხალხის შინაურ საქმეთ აღიარება, ხოლო სახელმწიფო ინტერესების პოლიტიკის მთავარ ღერძათ გამოცხადება—აი რით ხასიათდება საქართველოს მეფობა, დაწყებული დავით აღმაშენებლიდან. ეს მიდრეკილება თამარ მეფემ კიდევ უფრო განავითარა და თავის საშინაო პოლიტიკათ გაიხადა. მის საბრძანებელში შედიოდა მრავალი სხვადასხვა ტომი; გარდა ქართველისა და სომეხისა, ყველა მაჰმადიანები; ამათი რიცხვი ხშირათ ქრისტიან ქვეშევრდომთა რიცხვს არ ჩამოუვარდებოდა. რით შეეძლო თამარს ამათი ერთათ დაეერა თუ არა წმინდა საერო სახელმწიფო პოლიტიკით? ჯავახიშვილი სრულ სიმართლეს სწერს, როცა თამარ მეფეს აღიარებს უდიდეს პოლიტიკოსათ. ეს ქალი ამ მეტად ჭრელ საზოგადოებას იმორჩილებს უმთავრესათ სწორი პოლიტიკით, რელიგიური ბრძოლის სავსებით განდევნით და შემაერთებელი მომენტების წინ წამოყენებით.

დავით აღმაშენებელი მეტათ ღვთის მოსავი კაცი იყო, მას საკუთარი ლოცვებიც კი შეუთხზავს. მაგრამ ეს მას არ უშლიდა ჯამეშიაც ევლო, იქაც ელოცა და სოჯებისათვის საჩუქრები ერიგებია. მანვე სომხებს აუშენა გორი და იქ ჩაასახლა. თამარის მამამ, გიორგიმ, ანისის აღების შემდეგ დამორჩილებულ მცხოვრებთ, მაჰმადიანთ და სომხებს, 40 ათასი დრაკანი დაურიგა, ხოლო ქართველ მეომრებისაგან ტყვეთ აყვანილნი თავის ხარჯით გამოიყიდა და ქალაქს დაუბრუნა.

თამარის დროს იყო ერთი საეკლესიო პროცესი, რომელიც ახასიათებს მთელ ეპოქას. სომხის ორი მონასტერი ერთმანეთს ედავებოდა ძვირფას ჯვარს. მთავრობამ დანიშნა საგანგებო სასამართლო პირველი მინისტრის, ჟუონდიდელის, თავმჯდომარეობით, ხოლო მოსამართლეებათ დანიშნა გარდა ქართველ-სომეხ ეკლესიის წარმომადგენელებისა, მაჰმადიანი სარწმუნოების მეთაურებიც: ყადები თფილისის, ანისის და დვინის! ე. ი. მაჰმადიანები სწყვეტენ საქრისტიანო წმიდანის საქმეს! ამაზე უფრო რელიგიათა გათანასწორება შეუძლებელია.

როგორც ხედავთ, რელიგიური მშვიდობიანობა, ყველა რელიგიის პატივისცემა და დახმარება საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა იყო. ქართველი ქრისტიანული მთავრობა მაჰმადიანურ ეკლესიაზე ხშირათ მეტს მზრუნველობას იჩენს, ვინემ თვით მაჰმადიანური მთავრობები, თვით მაჰმადიან მემატიანეთა სიტყვით. ბრძოლა მაჰმადიანურ სახელმწიფოებთან იყო გამოწვეული არა რელიგიური მოტივებით, არამედ სახელმწიფოებრივი და პოლიტიკურით *). ამით აიხსნება ისიც, რომ ჯვაროსანთა ომში საქართველოს მონაწილეობა არ მიუღია. მაშინ როდესაც სომხეთმა თავისი სახელმწიფოს ბედი ჯვაროსანთა გამარჯვებას შეუერთა **). ეს ორი პოლიტიკა გათავდა ორნაირათ. სომხების სახელმწიფო მოისპო მეცამეტე საუკუნის გასულს. ჩვენმა მოაღწია მეცხრამეტემდე. და ვინ იცის, შეიძლება მას მოეღწია დღევანდლამდეც. რომ თამარ მეფის პოლიტიკა რუსეთის ზეგავლენით შემდეგ არ შეცვლილიყო.

---

*) იხ. დაწვრილებით ჯავახიშვილის ისტორია.

**) იხ. ზ. ავალიშვილის წიგნი «ჯვაროსანთა დროიდან». 1929.

რამდენათ უფრთხოდა საქართველო შინაგან რელიგიურ შუღლს ნათლათ სჩანს ერთ დიდებულ თქმულებიდან, რაიცა «ქართლის ცხოვრებაში» ისტორიულ ფაქტათ არის გადმოცემული. როცა ქართველებმა ქრისტეს სარწმუნოება მიიღეს და მისი მოძღვრება გაიცნეს, პირველი მათი რისხვა რასაკვირველია, ებრაელების წინააღმდეგ უნდა მიმართულიყო, რომელთაც ასეთი ღმერთი აწვალეს. ჩვენში კი იმ დროს ებრაელები უკვე დასახლებული იყვენ (მცხეთას) და მაშასადამე მათი განდევნა, მსგავსათ მრავალი საქრისტიანო ქვეყნებისა, მოსალოდნელი იყო. აი აქ მათ დასაფარავათ ითხზება მშვენიერი ამბავი, თქმული ებრაელ-აბიათარისა, საიდანაც ვტყობილობთ რომ ქრისტეს თანამედროვე ქართველი ურიები მას სცნობდენ «მაცხოვარათ» და «მხსნელათ» და წინააღმდეგი ყოფილან მისი წვალებისა! ეს ამბავი «ქართლის ცხოვრება»-ში ორ ალაგას არის მოთხრობილი, როგორც ისტორიული ფაქტი.

ერთი სიტყვით, თამარ მეფის ხანაში გაბატონებული პოლიტიკა მოითხოვდა რელიგიური საკითხის უკუგდებას და საერთო პოლიტიკურ და სოციალურ ინტერესებზე სახელმწიფოს დაყრდნობას. შოთა, როგორც ამ ეპოქის საუკეთესო გამომხატველი და თამარის რიგებში მებრძოლი, დადგა სწორეთ ამ ნიადაგზე; მისი ურელიგიობა მისი პოლიტიკაა, სახელმწიფო მოსაზრებაა. ის უგალობს არა ქრისტიანს ან მაჰმადიანს, არამედ ადამიანს, საზოგადოებას, რომელსაც მეთაურობდა დიდი მეფე-ქალი და რომლის პოლიტიკა მას მოსწონდა.

ქართველ არა-რელიგიურ საზოგადოებას სავსებით ეგუება ქართული არა-რელიგიური პოემა და რა გასაკვირია ის მას შეეყვარებია და თავის გულის სიღრმეში საუკუნოების განმავლობაში ეტარებია.

სხვადასხვა საკითხი.

«ვეფხის-ტყაოსანი»-ს მკვლევარნი, დაწყებული ნ. მარით და გათავებული კ. კეკელიძით და პ. ინგოროყვათი, ამ პოემას ათავსებენ ნაწარმოებთა იმ სერიაში, რომელიც იმ დროს მეტათ გავრცელებული იყო და ეწოდებოდა სადევ-გმირო ამბები. ამ ლიტერატურის საუცხოო ნიმუშია ამირან-დარეჯანიანი, რომლის გავლენა რუსთაველზე აშკარაა. პოეტმა შეთხზა თავისი ფაბულა უკვე არსებულ საგმირო ფაბულებიდან, ხალხში წერილობით თუ ზეპირათ გავრცელებული ზღაპრული მოთხრობებისაგან. ამ წესით ავტორმა პოემა დაუახლოვა ხალხს, გადაბა მის ფსიხიკას, მის სულისკვეთებას.

აქ იბადება საკითხი: რამდენათ შორს წავიდა პოეტი ამ დაახლოვებაში. რამდენათ დაემორჩილა ის ხალხის მიერ ქვეყნიერების ფანტასტიურათ წარმოდგენას, მის ცრუმორწმუნოებას, მის უცოდინარობას ბუნების კანონებისა და ყოველგან და ყოველთვის სასწაულებრივი მოქმედების ძებნას?

სადევ-გმირო ამბები ამ სფეროში შეუზღუდველია. მათში ხალხის ცრუმორწმუნოება სავსებით გაბატონებული და გაძლიერებულია. და აი, სწორეთ შესანიშნავია ის გარემოება, რომ რუსთველმა ერთიანათ უარჰყო ეს გზა, გამოეყო გავრცელებულ ხალხურ ზღაპრულ ფორმებს, არ დაემორჩილა საერთო ცრუმორწმუნოებას, არ მიიღო არც ერთი ნიშანდობლივი მბარე სადევ-გმირო ამბებისა.

«ვეფხის-ტყაოსანი» არ არის სადევ-გმირო ამბავი.

ამ ამბების დამახასიათებელი თვისებაა მათი სასწაულებრივი ეპიზოდები. აქ მოქმედება არ ემორჩილება ბუნების კანონებს, გმირები არ წარმოადგენენ ჩვეულებრივ ადამია-

ნებს. ისინი იმარჯვებენ თუ მარცხდებიან არა გარემოებათა ბუნებრივი ქსოვილით, არა ცხოვრების რეალური წარმოდგენით, არამედ ბუნების კანონების უეცარი დარღვევით, თილისმით. აქ გამართულია მუდმივი ბრძოლა ბოროტ და კეთილ ძალთა შორის (ორმუზდი და არიმანი), სადაც ყოველთვის უკანასკნელი იმარჯვებს. მაგრამ იმარჯვებს ისეთივე არაბუნებრივი საშუალებით, რომელსაც ბოროტი ძალა ხმარობს. ადამიანი ისე ადვილათ გადაიქცევა ვეშაპათ, როგორც ვეშაპი ადამიანათ. ერთი მხრით დგანან კეთილნი—ადამიანები, მეორე მ'ხრით ბოროტნი—დევები და ავსულები; ბრძოლაში გაჭივრების დროს ორივენი სწყვეტენ ბუნების რკალს და გვევლინებიან ზღაპრულ არსებათ.

არაფერი ამის მსგავსი არ არის «ვეფხის-ტყაოსანში». აქ მთელი მოქმედება, ფაბულის მთელი გაშლა და განვითარება წარმოებს ბუნებრივი გზით, საქმეთა ნამდვილი მიმდინარეობით. გარემოებათა ლოღიკით. ყველა კვანძი ისკვნება და იხსნება ადამიანის მიერ. ციური ძალის ჩაურევლათ. არავითარი ზღაპრული გარდაქცევა კაცის მხეცათ, მხეცის კაცათ; მართალია ორ ალაგას არის მოხსენებული დევი და ქაჯი, მაგრამ არც ერთი ეს ზღაპრული არსება სცენაზე გამოყვანილი არ არის: ისინი კულისებშია მათზე მხოლოდ მოთხრობილია. ტარიელი ამბობს, რომ გამოქვაბულში დახოცა დევები და მათი სადგომი თვით დაიჭირა. ხოლო თვით ეს დახოცვა, მათი ბრძოლა არა სჩანს. ჰამლეტის მამის სცენაზე გამოყვანა უფრო ზღაპრული ამბავია, ვინემ ტარიელის ეს ნაამბობი. ასეთივე ნაამბობია ქაჯების შესახებ. ქაჯეთის ციხის აღება ხდება თვით ქაჯების გამოუყვანელათ; რატომ? იმიტომ რომ ამით შექმნილიყო ბრძოლის თანაბარი პირობები ორივე მოპირდაპირე ბანაკისათვის. ქაჯეთის დამცველნი და ამღებნი ერთი და იგივე ადამიანებია, ერთნაირათ, ბუნებრივათ, მეომა-

რნი. პოეტს, რასაკვირველია, შეეძლო ტარიელის ჯარის წინააღმდეგ გამოეყვანა ქაჯები და ესენი მიუხედავათ მათი ქაჯობისა დაემარცხებია. მაგრამ თუ ეს არ მოიმოქმედა ავტორმა, მიზები აშკარაა—ბრძოლას ამით მიეცემოდა ზღაპრული ხასიათი და მით პოემა დაემსგავსებოდა სადევ-გმირო ამბებს. გმირული აქტი აქ ხდება არა მისტიური საშუალებით, არამედ ადამიანურით, ჩვეულებრივი ბრძოლით. სამასი მეომარი ამარცხებს რამდენიმე ათასს—აი რუსთაველის გმირული აქტი. მაგრამ ამაში ზეციური, არა-ბუნებრივი არაფერია. მცირე გუნდის გამარჯვება დიდ ლაშქარზე ისტორიაში ხშირია. ამის გასაოცარი ფაქტები მრავლათ მოიპოვება. გაიხსენეთ მაგალ. რამსესის მიერ ასი კაცით ჰიტელთა დიდი ჯარის დამარცხება.

რუსთაველის გმირები—ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვანი სრულიად არ გვანან სადევ-გმირო ამბების მომქმედ პირებს—ამირან დარეჯანის ძეს, როსტომს, ყარამანს, ვარშაყს და სხვათ. ისინი ჩვეულებრივი გულადი რაინდებია; პოეტი კიდევაც გვიხსნის მათი გულადობის მიზეზს. ეს მიზეზია მათი ფატალიზმი, მათი რწმენა ბედისწერაში, როგორც ეს ზემოთ დავახასიათეთ. ეს ბუნებრივი ახსნა საგმირო საქმეებისა სავსებით ანსხვავებს პოემას ზღაპრული მოთხრობებისაგან. წარმოიდგინეთ, პოეტს არ გამოუყვანია ომის მსვლელობაში არც ერთი ბუმბერაზიც კი, თუმცა ბუმბერაზობა იმ დროს მიღებული იყო მეომარ ბანაკთა შორის. მაგრამ ვინაიდან ბუმბერაზობა ერთნაირი ლატარიაა, შეიძლება მძლავრი ლაშქრის ბუმბერაზი დაამარცხოს სუსტი ლაშქრის ბუმბერაზმა და მით ომი სუსტის სასარგებლოთ გათავდეს, ამიტომ რუსთაველი ამ საშუალებას არ მიმართავს. აი რამდენათ უფრთხილდება ის უცაბედი მომენტის მოქმედებაში შემოტანას. ის უაღრესათ რეალისტი მწერალია. ეს მისი რეალიზმი სჩანს

იმაშიაც, რომ თავის მთავარ გმირთ ის გმირს არ უწოდებს. ტარიელი ეუბნება ავთანდილს: «ტანად სარო და პირად მზე, მამაცად მსგავსი გმირისა» (226); თვითონ ტარიელზე ნათქვამია: «შევიდა მეფე ინდოთა, იგი მზე, მსგავსი გმირისა» (1372). ე. ი. მათი საქმეები არ იყო ისეთი არაჩვეულებრივი, რომ ისინი გმირებათ გამოცხადებულიყო. ისინი არიან მხოლოდ «მსგავსნი გმირისა».

პოემის მთელი მსოფლმხედველობა სავსებით უარყოფს სადევ-გმირო მსოფლმხედველობას, ქვეყნის ავსულების საბუდარათ წარმოდგენას, ზეციური ძალით აღჭურვილ ადამიანების გამოჩენას და დავარდნილი კაცობრიობის მათ მიერ ბოროტებისაგან ხსნას. არც ერთი კვანძი ჯადოსნურათ არ ისკვნება და არ იხსნება, თუმცა ასეთი მომენტები დაშვებულია თანამედროვე პოეზიაში. «ჰამლეტის» კვანძი ისკვნება მიცვალებულის საშუალებით, რომელიც სცენაზე გამოდის და ჰამლეტს საიდუმლოებას გადასცემს.

«ვეფხის-ტყაოსანი» არც გარეგანი ფორმით გავს სადევ-გმირო მოთხრობებს. საზოგადოთ მთელ ეპიკურ პოეზიაში თუ მოთხრობებში მიღებულია ერთნაირი წესი მოქმედებისა: გმირი ბრძოლის წინ სიტყვებით მიმართავს მოწინააღმდეგეს, უფრო საგინებელით და დამამცირებელით. ილიადის ყველა გმირი ამ წესს მისდევს: ახილესის და ჰექტორის შეხვედრა იწყება სიტყვებით, თავდება სიტყვებით. ასევეა ჩვენებურ ზღაპრებში. ჰოი ბაყ-ბაღ დევო, მოდის ყარამანი შენს შესამუსრავათ, ან ჰოი, ყარამან-ყარდაშ, ვის უბედავ შენ შებმას და სხ. და სხ.—აი სადევ-გმირო ენაწყლიანობა. რუსთაველმა სავსებით უარჰყო მთელი ეს მიღებული ტრადიცია და თავის ეპიკურ დრამას მისცა თანამედროვე ფორმა.

ამნაირათ, ვეფხის-ტყაოსანი არის არა სადევ-გმირო ნაწარმოები, არამედ თანამედროვე შინაარსის და ფორმის რომა-

ნიული პოემა. საყვარელი ქალის დაკარგვა და მერმე მისი ძებნა—სხვა და სხვა ავანტიურების საშუალებით ახალ მწერლობაშიაც ხშირია (მაგ. ბალზაკის «ცამეტის ისტორია»). ზღაპრული აქ არაფერია. ამიტომ სრულიად გაუგებარია, როცა ტარიელს რუსულ ბილინების გმირთ ადარებენ და ილია მუროომეცივით მას «ვიტიაზის» სახელით ნათლავენ (მარი, ბალმონტი). ტარიელი მხოლოდ გულადი კაცია, მეტი არაფერი. არაჩვეულებრივია შეიძლება ის, რომ მას ვეფხისტყავი აცვია. ილიადაში ვეფხის-ტყავს ატარებს პარისი, მშვენიერი ელენეს ქმარი. ჰომერი არ ხსნის თუ რატომ ასეთი კაბით შემოსა თავისი გმირი. მაგრამ თუ გავიხსენებთ იმას, რომ პარისი იყო განთქმული თავისი სილამაზით, ცხადია მისი მოკაზმულობაც, ვეფხის-ტყავი, ითვლებოდა სილამაზის სიმბოლოთ, რასაც ჩვენ რუსთაველი გვიხსნის. «რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს, ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს» (562). პოემის თვით სათაური, მაშასადამე, უკვე იძლევა მის მთავარ ძაფს. პოეტი ამით ხაზს უსვამს თავისი თხზულების არა გმირულს, არამედ რომანიულ მხარეს, ქალის სილამაზეს, სიყვარულს. მისთვის თავის დადებას, ფიზიკური ძალის სიმბოლოთ ითვლებოდა კუროს ტყავი: მაგ. ჰექტორის ფარი კუროს ტყავისაა.

«ვეფხის-ტყაოსანში» ერთობ ხშირად ტირიან, ცრემლი ბევრი იღვრება და ეს ერთი შეხედვით ეპიკურ პოემას არ შეეფერება. რაშია საქმე? ამის მიზეზს გვისსნის პოეტი. ის სწერს: «ყმა წავიდი სევდიანი, მკერდსა იცემს, ამად ილებს, რომე კაცსა მიჯნურობა ატირებს და აგულჩვილებს» (607). ეს დიდებული განმარტება წარმოადგენს მუდმივ სინამდვილეს ყველა ეპოქაში. შეყვარებული უეჭველათ გულჩვილია და ცოტაოდენი დაბრკოლებაც კი ცრემლებს აღვრევინებს.

მაგრამ არის ორნაირი ცრემლი: ერთია სუსტის, ლაჩრის, მეორეა ძლიერის, ვაჟკაცის. პირველი კაცს აგლახებს, ძალას აცლის, მეორე კი პირიქით, ენერგიას უმატებს, აგულადებს. რუსთაველის ყველა გმირი ეკუთვნის მეორე ჯგუფს. და ეს არა მარტო მამა-კაცები, დედა-კაცებიც. ჯერ მოიტირებენ, შემდეგ ცრემლს შეიშრობენ და ვაჟკაცათ დგებიან. თითქოს ახალი ძალა მიიღეს ხეციდანო. ნესტანდარეჯანი მოულოდნელი განსაცდელით შეწუხებული ატირდა. «თვალთა ვითა მარგალიტი, გადმოჰყარა ცრემლი ხშირი». მაგრამ შემდეგ. «ადგა ასრე გულუშიშრად, ვეფხი იყო, ანუ გმირი. ლხინი ლხინად არად უჩნდა, მართ აგრეთვე ჭირად ჭირი» (1037). ამ მხრით რუსთაველის გმირები გვანან ჰომერის გმირთ. ახილესი თავისი საყვარელი მეგობრის, პატროკლის, სიკვდილით შეწუხებული, გლოვობს მოთქმით, პირის ხოკით და ცრემლთა დენით. როცა ტირილი მოათავა, ადგა, შეიარაღდა და მტერთა ბანაკს მუსრი გაავლო, მოჰკლა პატროკლის მომრევი დიდი ჰექტორი. ცრემლი გმირობის ელემენტია. მსოლოდ დიდ მომქმედს შეუძლია დიდი ტირილი. მაშასადამე, პოემაში გაპნეული ცრემლების მიზეზი ორი გარემოებაა: სიყვარული და მოსიყვარულეთა მოორალური თუ ფიზიკური ძლიერება. «ვეფ. ტყაოსანის» ეს მხარეც სავსებით თავსდება რომანიულ და ეპიკურ თვისებათა ჩარჩოში.

ამით ვათავებ ჩემ შენიშვნებს «ვეფხის-ტყაოსანზე». მე შევამოკლე ჩემი ორი ლექცია საჯაროთ წაკითხული გამოცემის გასაადვილებლათ. მაგრამ ყველა მთავარი დებულება ავნუსხე და მათი საბუთებიც საკმარისათ მოვიყვანე. თვით თემა ისე დიდია, გამოსაკვლევი ასპარეზი იმდენათ ფართოა, რომ რასაკვირელია. მისი ამოწურვის პრეტენზია არ მქონდა და არც მაქვს. მე მხოლოდ დავკმაყოფილდი საერთო ხაზით. კვლევის გეზის ჩვენებით. ამ ხაზით კვლევა-ძიების გაგრძელება ქართველი ისტორიკოსების და არქეოლოგების მიერ ნაყოფიერათ დაგვირგვინდება.

Imprimerie La Gazette de S.-et-O. » — *Arpajon*